*დანართი №3*

# ა(ა)იპ კოლეჯ „იკაროსის ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი

**წევრები:**

თინათინ ბურძენიძე
ნანა შათირიშვილი
ეკატერინე ჭეიშვილი
ხათუნა ბაკურაძე
სერგო ოვჩარენკო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 211351071

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [x] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

**დაწესებულების ავტორიზაცია**

- [ ] დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)
- [x] დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 მაისის N599822 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ კოლეჯ „იკაროსში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 25, 26 და 27 ივნისს განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ „იკაროსში (მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის*
*გამზირი N4ა ). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.*

## III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

| პროგრამის სახელწოდება | პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| კულინარიის ხელოვნება | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | - | იმიტირებულ გარემოში | ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის #4 |
| კონდიტერია | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | - | იმიტირებულ გარემოში | ქ. თბილისი, მარშალ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სასტუმრო მომსახურება | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით, პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | - | იმიტირებულ გარემოში | ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის #4 |
| სარესტორნო მომსახურება | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით, პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | - | იმიტირებულ გარემოში | ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის #4 |
| ღონისძიების ორგანიზება | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით, პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | - | იმიტირებულ გარემოში | ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის #4 |

**IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| კულინარიის ხელოვნება | 336 | 315 | 180 | 237 |
| კონდიტერია | 60 | 51 | 45 | 54 |
| სასტუმრო მომსახურება | 180 | 73 | 23 | 48 |
| სარესტორნო მომსახურება | 180 | 72 | 28 | 46 |
| ღონისძიების ორგანიზება | 90 | 25 | 26 | 31 |

## V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებას გამორჩეული პრაქტიკა აქვს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მოტივაციის ამაღლების, დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის, კარიერული მხარდაჭერისა და პროფესიული უნარების განვითარების მიმართულებით. კოლეჯი 2017 წლიდან თანამშრომლობს ევროპის სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებელთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სთავაზობს სტაჟირების პროგრამებსა და სასწავლო ვიზიტებს. 2017 წელს საგნობრივი პროგრამების განხორციელებისას კოლეჯ ,,იკაროსისა" და გერმანიის ,,ბალტიის ზღვის" კოლეჯის ერთობლივი პროექტის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის გასავლელად გერმანიაში გაემგზავრა ,,კონდიტერის", ,,მზარეულისა" და ,,სასტუმროს საქმის მწარმოებლის" პროგრამების 14 პროფესიული სტუდენტი. 2022 წელს 3 თვიანი სასწავლო პრაქტიკის გასავლელად გერმანიაში იმყოფებოდა 8 პროფესიული სტუდენტი ,,კულინარიის ხელოვნებისა" და ,,სასტუმრო მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. ასევე, 2022 წელს ქალაქ კრაკოვში (პოლონეთი) დაწესებულებამ საერთაშორისო კონკურსში მონაწილეების მისაღებად გაგზავნა ,,კულინარიის ხელოვნების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2 პროფესიული სტუდენტი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. ხოლო 2024 წელს ქ. კრაკოვში ,,XXV მალოპოლსკის გასტრონომიული სკოლების კონკურსში" მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილ იქნენ კულინარიისა და კონდიტერიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2 პროფესიული სტუდნეტი პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად. 2024 წელს დაწესებულებამ თვენახევრიანი სასწავლო პრაქტიკის (სტაჟირება) მიზნით, გერმანიის სხვადასხვა ობიექტებზე გაანაწილა 12 პროფესიული სტუდენტი რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში. ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული წარმოადგენს საუკეთესო გამოცდილებას, რადგან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის ამაღლებასა და წახალისებას, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას.

**ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები**
**I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | ■ **შესაბამება**<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** | ■ **შესაბამება**<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** |
| 1.1) პსდ-ს მისია | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | ■ **შესაბამება**<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** | ■ **შესაბამება**<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | ■ შესაბამება | ■ შესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **4) ადამიანური რესურსები** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**■ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>■ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| 5.3) ფინანსური რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **კულინარიის ხელოვნება** | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კონდიტერია | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ღონისძიების ორგანიზება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| სასტუმრო მომსახურება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| სარესტორნო მომსახურება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2 1. კოლეჯმა წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა N 2038 (2019 წლის 22 ნოემბერი). დოკუმენტში მოცემულია კოლეჯის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა). შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას დაევალა განსაზღვრულ დროში რიგი ღონისძიებების შესრულება. ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საბოლოო დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახე. კოლეჯის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განმარტა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება ვერ მოხდება დაწესებულების რეაბილიტაციამდე. შესაბამისად, ინდიკაოტორის მოთხოვნა შეფასდა, როგორც ,,არ შეესაბამება“. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 1 აგვისტოს N01-09/159 ბრძანებით. ხარვეზის აღმოსაფხვრელად, გეგმაში გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. კოლეჯს შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 18 თვე, თუმცა შესაბამისობის გეგმაში ტექნიკური ხარვეზია, ,,შესაბამისობის ტიპში“ მითითებულია ,,მეტწილი“ ნაცვლად ,,ნაწილობრივისა“.
*ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების პოზიციას, ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადას (18 თვე) და შესრულების ინდიკატორს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბმისია სტანდარტის მოთხოვნებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1 სტანდარტი

1.2.2 1. ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი 2023 და 2023 წლის სამოქმედო გეგმის შუალედური და საბოლოო ანგარიშები. ასევე დაწესებულების პერსონალის ანგარიშები (თავისი კომპეტენციის ფარგლებში), რომელიც მიემართება სამოქმედო გეგმის შესრულებას. წარმოდგენილ საბოლოო ანგარიშში თითოეული სტრატეგიული მიზნის ბოლოს ზოგადად არის აღწერილი მიზნის ფარგლებში რა შესრულდა, რა ვერ შესრულდა და რისი შესრულება მიმდინარეობს. შესრულების ანგარიში არ მოიცავს თითოეული ამოცანისა და აქტივობის შესრულების შეფასებას დაწესებულების მეთოდოლოგიაში (N27.07.2020 წლის N01-09/135 ბრძანება „ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შექმნისა და შესრულების პროცესის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ) გაწერილი კრიტერიუმების (სრულად შესრულდა, უმეტესად შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა) მიხედვით, ასევე ანგარიშებში არ არის მოცემული კონკრეტული აქტივობის შესრულების მტკიცებულება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებისას იხელმძღვანელოს მეთოდოლოგიით და ასევე თითოეული ამოცანისა და აქტივობის შეფასებისას მიუთითოს შესრულების მტკიცებულება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

III სტანდარტი

3.1.1 4. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან, ხელშეკრულებაში მეორე მხარედ დასახელებულია პროფესიული სტუდენტი, მითითებულია მხოლოდ მისი პირადი მონაცემები, პროფესიული სტუდენტის რეკვიზიტები და ხელმოწერა. აღნიშნული ხელშეკრულების ბოლო ნაწილში მოცემულია ჩანაწერი - „გავეცანი, ვიღებ პასუხისმგებლობას, მშობელი(მეურვე), სადაც არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი აწერს ხელს. თუმცა, არ ჩანს მშობლის ან მეურვის პირადი მონაცემები. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში ინახება კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და პროფესიული სტუდენტის დაბადების მოწმობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ემლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, დაარედაქტიროს ხელშეკრულების ფორმა და მხარეთა ხელმოწერებსა და რეკვიზიტებში დაამატოს არასრულწლოვანი პირის მშობლის ან მეურვის პირადი მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..

II სტანდარტი

ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

2.4.2 1. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N01-09/76, 17/04/2025), არ მოიცავს აპელაციის პირობებს, საჭირო მასალებისა და ნედლეულის ჩამონათვალს, უსაფრთხო გარემოს პირობებს და დამატებით პირობებს, ასევე ხშირ შემთხვევაში დავალების პირობები იყო ბუნდოვანი და არ იძლეოდა ზუსტ ინსტრუქციას.  გარდა ამისა, შეფასების მტკიცებულებებში მოცემული იყო ჯგუფისთვის მხოლოდ ერთი შეფასების ინსტრუმენტი, ხოლო თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის გამოკითხვის შემთხვევაში მხოლოდ ტესტური დავალება, პრაქტიკული დავალებისა და პრაქტიკული დავალება დაკვირვების შემთხვევაში დავალების შესრულების მოკლე ინსტრუქცია ან შეფასების ფურცელი (ჩეკლისტი). შესაბამისად ყველა ფორმა იყო განსხვავებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, ცვლილება განახორციელოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში და დაამატოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, სადაც მოცემული იქნება სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების პირობების შესახებ. დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს ერთიანი მიდგომა შეფასების ფორმების გამოყენებისას. რესურსების დაზოგვის მიზნით დაწესებულებას შეუძლია გადავიდეს ელექტრონულ შეფასებაზე მოდულის შეფასების მიმართულების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.4.2 2. დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 2024 წლის ვერიფიკაციის გეგმა, რისკ ფაქტორები და  ვერიფიკაციის შედეგები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2025 წლის ვერიფიკაციის გეგმა, რომელის ჩატარებაც განსაზღვრულია ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა, 2024 წლის ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის დასკვნა და შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის  ანგარიში  ყველა პროგრამის ფარგლებში.
აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დადგინდა რა პერიოდში ჩატარდა ვერიფიკაცია, ასევე არ ჩანს რამდენი ჯგუფის ფარგლებში მოხდა შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების შესწავლა, წარმოდგენილია მხოლოდ ერთი რისკ ფაქტორი - დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, დაწესებულების მიერ არასწორად არის გაგებული ვერიფიკაციის ტერმინი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანებაში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის გეგმაში - საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია, ასევე შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია. შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში არ ჩანს შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციის პროცედურა და სამიზნე ჯგუფი. თუმცა განათლების ვერიფიკატორისა და დარგის ვერიფიკატორის მიერ გაიცა რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების მტკიცებულებების მიმართ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განახორციელოს დადგენილი მექანიზმის შესაბამისად, განსაზღვროს მეტი რისკ ფაქტორი, ვინაიდან დაწესებულება ახორციელებს სწავლებას 3 ცვლაში, კვირაში 7 დღიანი დატვირთვით, რეალური სურათის მისაღებად უმჯობესია კოლეჯმა შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ვერიფიკაციის ანგარიშში დეტალურად ჩანდეს ვერიფიკაციის პროცედურა და რეკომენდაციები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -სასტუმრო მომსახურება

**2.2.1 1.** ,,სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად პროგრამის თანაგანხორციელებაში არ არის ჩართული სხვა დაწესებულება. სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე . თუმცა ვინაიდან იმიტირებული და რეალური სამუშაო გარემო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, პროფესიული სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაზე, სასტუმროს სხვადასხვა განყოფილებაში რეალური სამუშაო გარემოს გასაცნობად, ჰქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ და ჩაერთონ განყოფილებების (სასტუმროს მართვის მიმართულებების) საოპერაციო მართვაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -სარესტორნო მომსახურება

2.2.1 1. ,,სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად პროგრამის თანაგანხორციელებაში არ არის ჩართული სხვა დაწესებულება. სწავლის შედეგები მიიღწევა ადგილზე, თუმცა ვინაიდან იმიტირებული და რეალური გარემო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, პროფესიული სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაზე, რესტორნის სხვადასხვა განყოფილებაში რეალურ სამუშაო გარემოს გასაცნობად, ჰქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ და ჩაერთონ განყოფილებების (რესტორნის მართვის მიმართულებების) საოპერაციო მართვაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

დაწესებულებამ 01.08.2025 წლის N 941921 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოცემული შესაბამისობისა და განმავითარებელი რეკომენდაციების შესახებ.

დაწესებულებამ 5.1.2 1 ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 1 აგვისტოს N01-09/159 ბრძანებით. ხარვეზის აღმოსაფხვრელად, გეგმაში გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები.
*ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების პოზიციას, ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

1.2.2 1 ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულებამ აღნიშნა, რომ „ რომ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შედგენისას კოლეჯი ხელმძღვანელობს ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N01-09/48 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯი “იკაროსის” მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“-ს შესაბამისად. აღნიშნულ წესში არ არის გაწერილი კრიტერიუმები - „სრულად შესრულდა, უმეტესად შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა“, როგორ ექსპერტთა დასკვნის პროექტშია აღნიშნული. კოლეჯს თითოეული სტრატეგიული მიზნის ბოლოს ნარატივის სახით აქვს გაწერილი მიზნის ფარგლებში რა შესრულდა, რა ვერ შესრულდა და რისი შესრულება მიმდინარეობს.“ თუმცა ასევე აღნიშნავს, რომ გაითვალისწინებს დასკვნაში მითითებულ რეკომენდაციას.

თუმცა აღსანიშნავია, რომ დირექტორის N27.07.2020 წლის N01-09/135 ბრძანებით დამტკიცებულია „ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შექმნისა და შესრულების პროცესის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ” სადაც დანართი 1 -ით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებისა და შესრულების პროცესის შეფასების კრიტერიუმები.
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულება ფასდება 4 კრიტერიუმით: სრულად შესრულდა, უმეტესად შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა. აღნიშნულის მიხედვით უნდა მოეხდინა დაწესებულებას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება.

3.1.1 4. ინდიკატორტთან მიმართებით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ შეაჯერა პოზიციები და მცირედით დაკორექტირდა განმავითარებელი რეკომენდაცია.

**დაწესებულების წერილში აღნიშნულია, რომ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას და ფაქტობრივ გარემოებებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

### 1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

#### 1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების მისიაა „უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება,მოამზადოს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, ტურიზმისა და მომსახურების სფეროს მიმართულების პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური, კომპეტენტური და კონკურენტუნარიანისპეციალისტები, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. აღნიშნული შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. კოლეჯის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, კოლეჯის მისია პასუხობს ისეთ საკვანძო კითხვებს როგორიცაა: რისთვის არსებობს ორგანიზაცია, ვინ არის მომხმარებელი და რომელი კონკრეტული საჭიროების დაკმაყოფილებას ცდილობს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

2. კოლეჯის მისიაში იკვეთება საქმიანობის ძირითადი მიმართულება, დაწესებულება მონოპროფილურია და ორიენტირებულია ტურიზმისა და მომსახურების მიმართულების პროგრამების განხორციელებაზე. ის ასევე ხელს უწყობს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური, ევროპულ - დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული კადრების მომზადებას, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით, სოციალური ინკლუზიით, გენდერული თანასწორობით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

3. ა(აიპ )კოლეჯის „იკაროსი“ ხედვაა 2026 წლისთვის იყოს წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულება ტურიზმისა და მომსახურების სფეროს შესაბამისი განათლების მიმწოდებელთა შორის საჯარო და კერძო სექტორის დამსაქმებლებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ მიზნით მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება:

- საბაზო და ზოგადი განათლების მქონე პირებისათვის მაღალი ხარისხის, მათ შორის უცხოელ პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივად განხორციელებული საკვალიფიკაციო პროგრამების შეთავაზება;
- სამუშაოს მაძიებლებისა და დასაქმებულთათვის მაღალი ხარისხის მომზადების, გადამზადების, სტაჟირების პროგრამების შეთავაზება საქართველოში და საზღვარგარეთ;
- ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა.

დაწესებულების ღირებულებებია:

- ავტონომიურობა - კოლეჯი არის ავტონომიური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც კანონის ფარგლებში დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს თავისი ძირითადი საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისთვის;
- თანაბარი შესაძლებლობები - კოლეჯში პროფესიული სტუდენტებისათვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის უზრუნველყოფილია სწავლის, სწავლების, მუშაობისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები;
- მრავალფეროვნება - კოლეჯი არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც წახალისებულია კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობის მრავალფეროვნება, როგორც საზოგადოებრივი ღირებულებების შექმნის საფუძველი;
- მიუკერძოებლობა - კოლეჯი თავისუფალია სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური ჯგუფებისა და ორგანიზაციების გავლენისაგან, მაგრამ ტოლერანტულად არის განწყობილი მათ მიმართ. ყოველი ამ ჯგუფის წარმომადგენელი თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ახორციელებს პროფესიულ სწავლებას მის წიაღში;
- თავისუფლება - თავისუფლება არის იდეა, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების იმ სახეებს და შესაბამის პასუხისმგებლობათა რიგს, რომლებიც განსაზღვრულია სასწავლებლების, მათი მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და სტუდენტებისთვის და, უპირველესად, სწავლებისა და სწავლის პროცესის თავისუფლებას გულისხმობს. პრიორიტეტულ სფეროებში ცოდნის საზღვრების გაფართოება უნდა ხორციელდებოდეს პროფესიული ეთიკისა და კოლეგიურობის პრინციპების დაცვით;
- სოციალური პასუხისმგებლობა - კოლეჯი გრძელვადიანი და მიზანმიმართული მიდგომით ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, რომლებიც მატერიალური და ადამიანური რესურსის გამოყენებით ემსახურებიან საზოგადოების მდგრად განვითარებას;
- კეთილსინდისიერება - კოლეჯის საქმიანობის უმთავრესი კრიტერიუმია კეთილსინდისიერება სწავლა/სწავლების პროცესში;
- გამჭვირვალობა და ღიაობა - კოლეჯი ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე, პროაქტიულად ავრცელებს ინფორმაციას საქმიანობის თაობაზე და ღიაა თანამშრომლობისათვის;
- განვითარებაზე ორიენტირებულობა - კოლეჯი პროაქტიულად აფასებს საკუთარ საქმიანობას, ეძებს სუსტ მხარეებს და ზრუნავს მათ აღმოფხვრაზე.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, კოლეჯის ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან და წარმოადგენს დაწესებულების მომავლის სურათს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კოლეჯის დირექტორის მიერ 09.09.2024 წლის N01-09/147 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანს წარმოადგენდა , მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვა, მასში ცვლილების განხორციელება და დაინტერესებული მხარებისთვის გაზიარება. კომისიაში შედიოდნენ როგორც ადმინისტრაციის თანამშრომლები, ასევე ყველა მიმართულების პროფესიული განათლების მასწავლებლები . კომისიის სხდომის ოქმის მიხედვით, კომისიამ დაადგინა, რომ არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება პროფესიული განათლების ეროვნულ მიზნებს, დაწესებულების მიზნებს მიმდინარე ეტაპზე ცვლილებას არ საჭიროებდა, ასევე განისაზღვრა, რომ აღნიშნულის გაზიარება უნდა მოხდეს საკომუნიკაციო არხების გამოყენებით (კოლეჯის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა), ასევე დამსაქმებელთან და პროფესიულ სტუდენტებთან სამუშაო შეხვედრების დროს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის, განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე, ასევე, დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილას, პროგრამების კატალოგში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის ვებ. გვერდზე გამოქვეყნებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია;
- დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის ოქმი;
- დაწესებულების ფიზიკურ სივრცეში განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
- ინტერვიუირება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბუკაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1.2.1** პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N01-09/48 ბრძანებით (ბოლო ცვლილება - . N01-09/136, 27.08.2024 ) ,,(ა)იპ კოლეჯი “იკაროსის” მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა, გაზიარების მექანიზმები , სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა, მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება და გაზიარება, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება და გაზიარება, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება. წესის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება ხდება შემდეგნაირად, დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტს. სამუშაო ვერსია განსახილველად ეგზავნება დაინტერესებულ მხარეებს, შენიშვნების შემთხვევაში კორექტირდება ჯგუფის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და კოლეჯის დირექტორის წარედგინება, იგი განიხილავს და ამტკიცებს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დაწესებულების მიერ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შემუშავება ხდება ორგანიზაციის SWOT ანალიზის საფუძველზე.

დაწესებულება სტრატეგიულ დოკუმენტებში ცვლილებები განხორციელების მიზნით ადგენს შემდეგ ეტაპებს: ა) ცვლილების ინიცირება დირექტორის სახელზე; ბ) საკითხის გადაცემა სამუშაო ჯგუფზე; გ) სამუშაო ჯგუფის მიერ საკითხის შესწავლა; დ) ცვლილების საჭიროების დადგენა; ე) ცვლილებების შეტანა წარმოდგენილ დოკუმენტებში; ვ) შეტანილი ცვლილებების გაზიარება დაინტერესებული მხარეების ვიწრო წრესთან; ზ) დაინტერესებული მხარეების ვიწრო წრისგან მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება; თ) დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა და დირექტორისთვის მიწოდება; ი) შენიშვნები კომენტარები; კ) დოკუმენტების დამტკიცება (საჭიროების შემთხვევაში) და გაზიარება დაინტერესებული მხარეების ფართო წრისთვის. რაც შეეხება, მონიტორინგსა და შეფასებას კოლეჯი ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - ივნისსა და დეკემბერში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე. დირექტორის N27.07.2020 წლის N01-09/135 ბრძანებით დამტკიცებულია ,,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შექმნისა და შესრულების პროცესის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" სადაც დანართი 1 -ით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებისა და შესრულების პროცესის შეფასების კრიტერიუმები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულება ფასდება 4 კრიტერიუმით: სრულად შესრულდა, უმეტესად შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა. ხოლო თითოეული ღონისძიების განხორციელების პროცესი იზომება შემდეგი კრიტერიუმებით:
1.განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა, 2 .განხორციელების პროცესი მიმდინარეობს, 3. .განხორციელების პროცესი შეჩერებულია, 4. განხორციელების პროცესი შეწყვეტილია, 5 განხორციელების პროცესი დასრულებულია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით კოლეჯში დასაქმებული პირების მიერ ხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ კვარტალური ანგარიშების მომზადება, რომელიც გასაანალიზებლად გადაეცემა მონიტორინგის ჯგუფს. ჯგუფის წევრები შინაარსობრივად სწავლობენ შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენენ შუალედურ/წლიურ ანგარიშს. ანგარიშის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დადგეს კონკრეტული შემსრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი ან მიღებული იქნას წახალისების გადაწყვეტილება განსაკუთრებით კარგად შესრულებული სამუშაოსათვის. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კოლეჯი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

2. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფებში შედიან: დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, მატერიალური რესურსების მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. სტრატეგიული დოკუმენტების გადახედვის სამუშაო ჯგუფში შედიან ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები. დაწესებულებაში მოქმედი პრაქტიკა ასევე ითვალისწინებს აღნიშნულ პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და მათი უკუკავშირის საფუძველზე სამუშაო დოკუმენტებში ცვლილების განხორციელებას.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს, ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს - წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2020-2026 წწ) დასახული მიზნები შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. განსაზღვრულია მიზნების/ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ანალოგიური სტრუქტურა აქვს წლიურ სამოქმედო გეგმებსაც. გეგმებში არა არის ფინანსურ რესურსი მითითებული კონკრეტულად, თუმცა დაწესებულების ფინანსური მენეჯერის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პსდ-ს ბიუჯეტში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყოფილი ფონდები, ითვალისწინებს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებისთვის საჭირო რესურსებს. რაც ასევე დასტურდება 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმების შესრულებულების ანგარიშებით. პსდ-ს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია 6 მიზანი, რომლებიც მოიცავენ შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და ხარისხის მართვის სისტემის უწყვეტ განვითარებას; ასევე ინსტიტუციურ განვითარებასა და დაწესებულების ცნობადობის ამაღლებას, ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-საწარმოო სისტემის შექმნას და ფინანსური მდგრადობის გაზრდის უზრუნველყოფას და პერსონალის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებას. 2025 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს, მიმდინარე წლისთვის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს, შესაბამისად გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

დასტურდება (მტკიცებულებები):
- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი ( დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N01-09/48 ბრძანებით (ბოლო ცვლილება - . N01-09/136, 27.08.2024)
- სტრატეგიული გეგმა (19.06.2020 N01-09/96)
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- ბრძანება სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- დირექტორის N27.07.2020 წლის N01-09/135 ბრძანება,, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შექმნისა და შესრულების პროცესის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ"
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

**1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N01-09/48 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება - . N01-09/136, 27.08.2024 ) ,,(ა)იპ კოლეჯი "იკაროსის" მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი შესაბამისად, დაწესებულება სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს წელიწადში ორჯერ - ივნისსა და დეკემბერში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე. დირექტორის N27.07.2020 წლის N01-09/135 ბრძანებით დამტკიცებულია ,, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შექმნისა და შესრულების პროცესის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' სადაც დანართი 1 -ით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებისა და შესრულების პროცესის შეფასების კრიტერიუმები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულება ფასდება 4 კრიტერიუმით: სრულად შესრულდა, უმეტესად შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა.

ხოლო თითოეული ღონისძიების განხორციელების პროცესი იზომება შემდეგი კრიტერიუმებით:

1.განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა, 2 .განხორციელების პროცესი მიმდინარეობს, 3. .განხორციელების პროცესი შეჩერებულია, 4. განხორციელების პროცესი შეწყვეტილია, 5 განხორციელების პროცესი დასრულებულია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით კოლეჯში დასაქმებული პირების მიერ ხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ კვარტალური ანგარიშების მომზადება, რომელიც გასაანალიზებლად გადაეცემა მონიტორინგის ჯგუფს. ჯგუფის წევრები შინაარსობრივად სწავლობენ შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენენ შუალედურ/წლიურ ანგარიშს.

**ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი 2023 და 2023 წლის სამოქმედო გეგმის შუალედური და საბოლოო ანგარიშები. ასევე დაწესებულების პერსონალის ანგარიშები (თავისი კომპეტენციის ფარგლებში), რომელიც მიემართება სამოქმედო გეგმის შესრულებას. წარმოდგენილ საბოლოო ანგარიშში თითოეული სტრატეგიული მიზნის ბოლოს ზოგადად არის აღწერილი მიზნის ფარგლებში რა შესრულდა, რა ვერ შესრულდა და რისი შესრულება მიმდინარეობს. შესრულების ანგარიში არ მოიცავს თითოეული ამოცანისა და აქტივობის შესრულების შეფასებას დაწესებულების მეთოდოლოგიაში გაწერილი კრიტერიუმების (სრულად შესრულდა, უმეტესად შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა) მიხედვით, ასევე ანგარიშებში არ არის მოცემული კონკრეტული აქტივობის შესრულების მტკიცებულება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებისას იხელმძღვანელოს მეთოდოლოგიით და ასევე თითოეული ამოცანისა და აქტივობის შეფასებისას მიუთითოს შესრულების მტკიცებულება.**

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

**2.** კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში იკვეთება შესრულებელიდა შეუსრულებელი აქტივობები, დგინდება შეუსრულებლობის მიზეზები, რომელთა გათვალისწინებით ხდება ვადების ან/და აქტივობის კორექტირება, ან მისი გეგმიდან ამოღება. კოლეჯის „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის" თანახმად კოლეჯი სამოქმედო გეგმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების პროცესის მონიტორინგის საფუძველზე დგება წლიური ანგარიში, აღნიშნული საფუძვლად ედება შემდეგი წლის სამოქმედო გეგმის შედგენასა და შესაბამისად, სტრატეგიულ გეგმაში განსახორციელებელ ცვლილებებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯი "იკაროსის" მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი
- სტრატეგიული გეგმა
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა ;
- სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური და წლიური ანგარიშები;
- დირექტორის ბრძანება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შექმნისა და შესრულების პროცესის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ;
- ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

### 3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დირქტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/86 ბრძანებით (უკანასკნელი ცვლილება - 2025 წლის 16 ივნისის N01-09/115 ბრძანებით ) დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნულ წესში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეწყვეტის, შეჩერების, სტატუსის აღდგენის, ფორმალური განათლების აღიარების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები და სხვა. აგრეთვე, შიდა და გარე მობილობის წესები, არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. სტუდენტთა უფლება-მოვალეობები ასევე გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესშიც. კოლეჯში მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა", რომელშიც გაწერილია და მკაცრადაა განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების შესრულება დაწესებულების მხრიდან. ყველა თანამშრომელი, რომელთაც რაიმე ფორმით უწევთ პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, მკაცრად იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების კანონმდებლობით დადგენილ პრინციპებს, ეხება ეს სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოებას, სასწავლო დოკუმენტაციას თუ დისციპლინურ წარმოებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არასრუწლოვან პროფესიულ სტუდენტა პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და კონტროლს. დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურა. დაწესებულებას განხორციელებული აქვს ასევე მობილობის პროცედურა, მაგალითად კოლეჯ „ მერმისიდან" გარე მობილობის წესით დაწესებულებამ მიიღო 5 პირი. რომლებისთვისაც გაიწერა და დირექტორის 2020 წლის 20/04 N01-09/77 ბრძანებით დამტკიცდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა . ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები. აღნიშნული შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ გაწერილ წესებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

2.კოლეჯში სწავლის დაწყებისთანავე სასწავლო პროცესის მენეჯერები, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროფესიულ სტუდენტური მხარდაჭერის განვითარების სპეციალისტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები ხვდებიან პროფესიულ სტუდენტებს და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აცნობენ კოლეჯში მოქმედ რეგულაციებს: შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, კოლეჯის უსაფრთხოებას,

შეფასების სისტემას, პროფორიენტაციულ და კარიერულ მხარდაჭერის მექანიზმებს, სტუდენტურ სერვისებს მათ უფლებებსა და ვალდებულებებს.
პროფესიული სტუდენტების უფლება მოვალეობები გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესსა და პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი ხელშეკრულებაზე და ოფიციალურ ჟურნალში ხელმოწერით ადასტურებს, რომ ის გაეცნო კოლეჯის შინაგანაწესს, თავის უფლებებსა და მოვალეობებს და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს.
კოლეჯის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის. ამასთან, სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხები. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული გადაამოწმა პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას. მათ დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და ინფორმაციის მიღების ფაქტი. ასევე აღნიშნეს, რომ იციან საკუთარი უფლებები, რომლებსაც საჭიროებისამებრ იყენებენ.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

3. დაწესებულების მიერ შემუშავებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და ამ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები. შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტის ინფორმირებას ახდენს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი. მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების არასამართლიანად მიჩნევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების უფლებით. პროფესიული სტუდენტი, შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით, წერილობითი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს არაუგვიანეს შედეგების გაცნობის დღისა. დირექტორის მიერ შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა პროფესიული განათლების მასწავლებელს იმავე, ან მომდევნო სამუშაო დღეს. საჩივარი, რომელიც მოკლებული იქნება არგუმენტირებულ დასაბუთებას, არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება. პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით საჩივარს განიხილავს 1 სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი ფასდება ერთი შემფასებლის მიერ და პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, დირექციის დავალებით შესაბამისი ნაშრომის შეფასება დაევალება კოლეჯის შესაბამისი დარგის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელს. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა და ძალაში დატოვოს მიღებული შეფასება, ან მიღებული შეფასება შეცვალოს პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ. გასაჩივრების დაკმაყოფილების და პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების მის სასარგებლოდ შეცვლის შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აღნიშნული ასახოს შეფასების უწყისში, რისთვისაც წერს სამსახურებრივ ბარათს დირექტორის სახელზე. გასაჩივრების შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება წერილობითი საჩივრის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. დაწესებულებაში შეფასების შედეგების გასაჩივრების პრაქტიკა არ დაფიქსირებულა.
ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ. ექსპერტებმა სტუდენტებს სთხოვეს პროცესის აღწერა თუ როგორ ხდებოდა მათი შეფასებამდე ინფორმირება, როგორ იგებდნენ შეფასების შედეგებს, რა ღონისძიებები ტარდებოდა განმეორებითი შეფასების ან აპელაციის შემთხვევებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შეფასებამდე მინიმუმ 5 დღით ადრე აწვდის მასწავლებელი ინფორმაციას სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ. ასევე, აღნიშნეს, რომ აქვთ ინფორმაცია გასაჩივრების უფლების შესახებ, თუმცა საჭიროება არ დამდგარა. შეფასების შედეგების გაცნობასთან დაკავშირებით სტუდენტებმა განაცხადეს, რომ შედეგებს განმახორციელებელი ინდივიდუალურად, პირადად აცნობს და ელექტრონულ ფოსტაზეც იღებენ შეტყობინებებს.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

4.კოლეჯს გაწერილი აქვს ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“ რის მიხედვითაც ხორციელდება სასწავლო ხელშეკრულებების გაფორმება. მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სრულწლოვან და არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დედების სპეციფიკა. დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები. **დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან, ხელშეკრულებაში მეორე მხარედ დასახელებულია პროფესიული სტუდენტი, მითითებულია მხოლოდ მისი პირადი მონაცემები, პროფესიული სტუდენტის რეკვიზიტები და ხელმოწერა. აღნიშნული ხელშეკრულების ბოლოს ნაწილში მოცემულია ჩანაწერი - ,,გავეცანი, ვიღებ პასუხისმგებლობას, მშობელი(მეურვე), სადაც არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი აწერს ხელს. თუმცა, არ ჩანს მშობლის ან მეურვის პირადი მონაცემები. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში ინახება კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და პროფესიული სტუდენტის დაბადების მოწმობა.**
**დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, დაარედაქტიროს ხელშეკრულების ფორმა და მხარეთა ხელმოწერებსა და რეკვიზიტებში დაამატოს არასრულწლოვანი პირის მშობლის ან მეურვის პირადი მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია.**
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

5. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებულ სასწავლო პროცესს და საჭირო სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და მათი ჩართულობის გათვალისწინებით. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. კონკრეტულ მოდულში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ თანხმდება დირექტორის მოადგილესთან, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებულ სასწავლო პროცესს და საჭირო სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და მათი ჩართულობის გათვალისწინებით. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. კოლეჯს სსსმ სტუდენტისთვის შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მათ შორის რამდენიმე სტუდენტისთვის მოდიფიცირებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სახეცვლილია სწავლის მიზნები და შედეგები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შემუშავებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, პროფესიული განათლების მასწავლებლებლების, სტუდენტებისა და კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიულ სტუდენტთა მსმენელთა უფლებების, ვალდებულებების და ქცევის ზოგადი წესი“;
- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- შინაგანაწესი;
- ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა’’;
- პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის წესი“;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.კოლეჯის დირექტორის 27/12/2024 წლის N N01-09/266 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის პოლიტიკა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, გამოიყენება განმავითარებელი შეფასებები. სტუდენტები იღებენ კონსულტაციებს მასწავლებლებისგან. პროფესიულ სტუდენტებთან, მიმდინარეობს, როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური მუშაობა და შეხვედრები.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და ,,სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმების" შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებლები პროფესიულ სტუდენტთა საჭიროების მიხედვით უზრუნველყოფენ აღნიშნულ სტუდენტთა კონსულტირებას და მათი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად შესაბამის აქტივობათა დაგეგმვას. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, მათ აღნიშნეს რომ მეცადინეობის გაცდენის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართოს მოდულის განმახორციელებელ პირს და მათგან მიიღონ სასწავლო მასალები და დამატებით კონსულტაცია.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

2. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის პოლიტიკის მიხედვით სწავლის დაწყების პირველივე დღეებში ხდება შეხვედრები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, რომლის დროსაც მიეწოდებათ ინფორმაცია კოლეჯის სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, მათი ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევის და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოების და სხვა წესების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები სტუდენტებს აცნობენ სასწავლო პროცესის შესახებ არსებულ ყველა ინფორმაციას, კერძოდ, სასწავლო გეგმას, მოდულები კვირეული დატვირთვით. ინფორმაცია, ყოველკვირეული სასწავლო განრიგის შესახებ, ასევე ინფორმაცია ინტეგრირებული მოდულების შესახებ თუ რა განსხვავებაა სკოლის დატვირთვასა და კოლეჯში არსებულ ინტეგრირებულ მოდულებს შორის და მათი შეფასების შესახებ, სწავლის შედეგების დადასტურების შესახებ. სტუდენტები ეცნობიან შინაგანაწესსა და სასწავლო პროცესის რეგულაციებს, რომელებიც ეხება სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. კერძოდ: საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, გაცდენების საპატიო რაოდენობა, შეფასების სისტემა. ექსპერტებმა შეისწავლეს ადმინისტრაციის სამუშაო აღწერილობები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რის შედეგადაც ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული პირების ფუნქცია მოვალეობები მოიცავს სწავლის დაწყების მომენტიდან, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის საკითხებს. ამასთან, ზემოთხსენებული რეგულაციით, დაწესებულების ყველა თანამშრომელს კომპეტენციის ფარგლებში ევალება პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა.

ვიზიტის პერიოდში, მტკიცებულებების სახით დაწესებულებამ წარმოადგინა ჩატარებული შეხვედრების დასწრების ფურცლები. დაწესებულება ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, რისთვისაც ახორციელებს სხვადასხვა გაცნობითი სახის აქტივობებს, როგორც მარეგულირებელი დოკუმენტების, ასევე სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი სივრცეებისა და მოქმედი სერვისების შესახებ.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

3. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს გაწერილი რეგულაციების შესაბამისად უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას გონივრულ ვადაში.

პროფესიული სტუდენტი ცნობის მოთხოვნის შემთხვევაში წერს განცხადებას საქმისმწარმოებელთან მატერიალური სახით, რომელიც იტვირთება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (Eflow) .ცნობის დამზადება ხდება მომართვიდან არაუგვიანეს 10 დღისა ელექტრონული ან/და მატერიალური სახით. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის/სერტიფიკატის აღრიცხვა- ანგარიშგებისა და გაცემის წესი“. პროფესიული სტუდენტებისთვის დიპლომის გაცემის პროცედურები ხდება აღნიშნული წესის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტი დიპლომების აღრიცხვის ჟურნალში აწერს ხელს, რათა დადასტურდეს, რომ მან კოლეჯიდან გაიტანა  დიპლომი, ხოლო დიპლომის ქსეროასლი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში. ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული სტუდენტების ადმინისტრაციისადმი განცხადებით მიმართვის სხვადასხვა შემთხვევები - სტუდენტის განცხადება და მასზე გაცემული ცნობა სწავლის ფაქტის შესახებ, განცხადება ჯგუფის ცვლილების შესახებ და შესაბამისი ბრძანება, განცხადება სტატუსის შეწყვეტის შესახებ და შესაბამისი ბრძანება, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის მტკიცებულებები შესაბამისი განცხადებებით და ბრძანებებით. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევის ვადები დაცულია.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

4. დაწესებულების პროფესიული სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებსა და გამოფენებში. მათ შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა

მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებში, ჩართულნი არიან ტრენინგებში/მასტერკლასებში, რაც ხელს უწყობს საკვანძო კომპეტენციების გამომუშავებას, ავითარებს და ხელს უწყობს მოქალაქეობრივი, კულტურული ცნობიერების, თვითგამოხატვის და სხვა უნარების განვითარებას. აღნიშნული დასტურდება შესაბამისი ფოტომასალით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე, კატალოგში და სოციალურ ქსელში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

5. კოლეჯი ყოველწლიურად ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას. კვლევის შედეგების საფუძველზე გამოკვეთილ მოთხოვნების შესაბამისად აუმჯობესებს სტუდენტთა მომსახურებას მაგ: კოლეჯში ჩატარებულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევაში დაფიქსირდა მოთხოვნა კოლეჯის ეზოს კეთილმოწყობაზე და კაფეტერიის გახსნაზე. დაწესებულება გეგმავს შენობის რეაბილიტაციას, შესაბამისად გათვალისწინებული იქნება მათი საჭიროება.
ასევე კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა მოთხოვნებს სასწავლო განრიგთან დაკავშირებით, შესაბამისად სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტება ხორციელდება ამ მოთხოვნების გათვალისწინებით. (სწავლა მიმდინარეობს 3 ცვლაში ). აქვე უნდა აღინიშნოს რომ ვინაიდან კოლეჯი ტურიზმისა და მომსახურების სფეროსთვის ამზადებს კადრებს, მნიშვნელოვანია უცხო ენის ცოდნა, შესაბამისად თითოეული პროგრამა მოიცავს 2 უცხოური ენის მოდულს. ჯგუფებში გათვალისწინებულია სტუდენტთა ენის ცოდნის დონეც, რათა მიღწეული იქნეს უფრო მაღალი შედეგი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის პოლიტიკა;
- „პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის/სერტიფიკატის აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ფოტომასალა.

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.დაწესებულების დირექტორი ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიული ორიენტაციის, კარიერის დაგეგმვისა და კონსულტირების წესი“ რომლის მიხედვითაც დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს კარიერის დაგეგმვაში, დასაქმების ფორუმებში მონაწილეობასა და შემდგომ დასაქმებაში. კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის ფარგლებში ეწყობა ინდივიდუალური ან/და გაერთიანებული შეხვედრები პროგრამის დასრულების ეტაპზე ან დასრულების შემდეგ სადაც კონსულტაციები გაიცემა კარიერული განვითარებისთვის პროფესიული მიზნების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. კონსულტაციების ფარგლებში, სტუდენტები/კურსდამთავრებულები იღებენ რჩევებს სტაჟირების მოძიების სტრატეგიების, ეფექტური რეზიუმეს შედგენის, სამოტივაციო წერილის მომზადების საკითხებში; ასევე - ინტერვიუსთვის მომზადებასა და ანაზღაურებაზე მოლაპარაკების წარმართვის თაობაზე. შემხვედრი საჭიროებების შესაბამისად, საკონსულტაციო შეხვედრა წარიმართება პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზეც, ინდივიდუალურ/ჯგუფურ რეჟიმში. დასაქმების ხელშეწყობის ფარგლებში, პარტნიორი კომპანიების მოთხოვნით, დასაქმების მიზნებისთვის ხდება სტუდენტების შერჩევა. დაგეგმილი/ჩატარებული შეხვედრების შესახებ სტუდენტებს ინფორმაცია განთავსდება ვებ გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. მათ დაადასტურეს რომ დაწესებულება მუდმივად ხელს უწყობს დასაქმებაში. სოციალურ ქსელში შექმნილია დახურული ჯგუფი, სადაც პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მუდმივად უზიარებს აქტიურ ვაკანსიებს. ასევე, მათ აღნიშნეს რომ ხშირად იღებენ მონაწილეობას კოლეჯში გამართულ სხვადასხვა შეხვედრებში, სადაც ჩართულები არიან დამსაქმებლებიც. გასაუბრებით დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აქვთ ინდივიდუალური კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა, სააპლიკაციო ფორმების შევსების, CV-ს, სამოტივაციო წერილის შედგენასა და ვაკანსიის მოთხოვნებთან მათი მისადაგების, ასევე გასაუბრების (თვითპრეზენტაციის) წარმართვის ტექნიკის შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯში არსებობს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მხარდაჭერის მომსახურება. კოლეჯი მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, კოლეჯს მჭიდრო ურთიერთობა აქვს სხვადასხვა კომპანიებთან/ორგანიზაციებთან, რომლებიც სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას არსებული ვაკანსიების თაობაზე. პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს აქვს კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა საკონტაქტო ბაზა და თანხმობის შემთხვევაში, აკავშირებს მათ დამსაქმებლებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში ასევე ტარდება შეხვედრები, სადაც პოტენციური დამსაქმებელები აკეთებენ საკუთარი ორგანიზაციების წარდგენას და დამსწრე საზოგადოებას აცნობენ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებსა და ვაკანსიებთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს სამუშაოს მაძიებელთა ან უკვე დასაქმებულთა უკეთესი პირობებით დასაქმებას. სტუდენტთა ინფორმირება შესაბამისი ვაკანსიების შესახებ ხდება როგორც პირისპირ კომუნიკაციის გზით, ასევე სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში. კურსდამთავრებულთა ინფორმირება კი ხორციელდება ინდივიდუალურად სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით და სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯი ყოველწლიურად ატარებს კურსდამთავრებულთა გამოკითხვას წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით დასაქმებასთან დაკავშირებით. ასევე კოლეჯი მონაწილეობას იღებს ყოველწლიურად პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კვლევებში კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების კვლევის მიმართულებით. კოლეჯს აქვს თავისი ანგარიში პორტალზე - EVALUATION.GE კოლეჯი მუდმივად აახლებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზას.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა დაწესებულების მიერ ჩატარებული კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში, ასევე პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული კვლევის შედეგები EVALUATION.GE -ის პორტალზე. რომლის მიხედვითაც მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაქმების მაჩვენებელი 64 % დან 84 %- მდე მერყეობს. .
4. კოლეჯი, საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით, სათანადოდ რეაგირებს, განხორციელებული აქტივობებიდან და კარიერული მომსახურების კვლევებიდან მიღებულ შედეგებზე, რაც თავის მხრივ აისახება სხვადასხვა სამსახურის შემდგომ საქმიანობაზე და დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე კოლეჯი აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, რაც განსაზღვრულია „პროფორიენტაციისა და კურსდამთავრებულების ბაზის მართვის პოლიტიკაში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული ორიენტაციის, კარიერის დაგეგმვისა და კონსულტირების წესი (ბრძ. N01-09/74, 3/6/2020);
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის პოლიტიკა (ბრძ. N01-09266, 27/12/2024);
- პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია (ბრძ. N01-09/67ა, 3/6/2020);
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები;
- პროფორიენტიაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან გასაუბრების შედეგები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.ადამიანური რესურსები**

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.დაწესებულების წესდების მიხედვით კოლეჯის მართვის ორგანოა დირექტორი. კოლეჯს შემუშავებული აქვს ა(ა)იპ კოლეჯ „იკაროსის" საშტატო ნუსხა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ. აღნიშნული დოკუმენტით თანამდებობები იყოფა სამ ნაწილად- დირექცია, ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი. სულ განსაზღვრულია 30 საშტატო ერთეული. დაწესებულებას ასევე შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტრუქტურა, რომელიც საჯაროდ განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია სქემატურად პერსონალის იერარქია და დაქვემდებარებები. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 აპრილის N01-09/58 ბრძანებით (ბოლო ცვლილება - N01-09/270, 27/12/2024) დამტკიცებულია სტრუქტურული

ერთეულების/პირების თანამდებობრივი ინსტრუქციები. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ასევე პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. თითოეული თანამდებობისთვის გაწერილი ფუნქცია - მოვალეობა შეესაბამება არსებულ პოზიციას და მჭიდროდ უკავშირდება დასაქმებულის სამუშაო პროცესს, არის დეტალური და მკაფიოდ განსაზღვრული. ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალს გაცნობიერებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები.

**ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. ა(ა)იპ კოლეჯ „იკაროსის " საშტატო ნუსხის თანახმად, პერსონალის თანამდებობები იყოფა შემდეგ სახეებად: დირექცია, ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი. დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესს ჰყავს პასუხისმგებელი საშტატო ერთეული/პოზიცია, რაც ასახულია საშტატო ერთეულის ფუნქციებში. დაწესებულების სტრატეგიული/სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს/აქტივობებს აგრეთვე ჰყავს შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 აპრილის N01-09/58 ბრძანებით (ბოლო ცვლილება - N01-09/270, 27/12/2024) დამტკიცებულია სტრუქტურული ერთეულების/პირების თანამდებობრივი ინსტრუქციები. თითოეული თანამდებობისთვის გაწერილი ფუნქცია - მოვალეობა შეესაბამება არსებულ პოზიციას და მჭიდროდ უკავშირდება დასაქმებულის სამუშაო პროცესს. კოლეჯში დასაქმებულია 30 ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი. მათი ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია დაწესებულების თანამდებობრივი ინსტრუქციებით. ხარისხის მართვის მენეჯერი და სპეციალისტი უზრუნველყოფენ ხარისხის მართვის - „დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება" ციკლის უწყვეტობას, ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს, შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში, ასევე პროცესების ეფექტურობის შენარჩუნებასა და აღსრულების მონიტორინგში, შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმას. მონაწილეობს დაწესებულების მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენის/ცვლილებების განხორციელების/ანგარიშგების პროცესში, ხელმძღვანელობს/მართავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა მიმართულებით ატარებს კვლევებს, ახდენს შედეგების ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აცნობს დაინტერესებულ პირებს, ამზადებს თვითშეფასებას და ასრულებს მოქმედი კანონმდებლობით და დირექტორის მიერ დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს კომპეტენციისა და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის ფარგლებში. კოლეჯში აგრეთვე დასაქმებულია ხარისხის მართვის სპეციალისტი, ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად და არ არის დუბლირება და ინტერესთა კონფლიქტი სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესზე პასუხისმგებელი პირების საქმიანობასთან. აღნიშნული დადასტურდა პროცესების მიმდინარეობით და ხარისხის მართვის მენეჯერთან, სპეციალისტთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის სტრუქტურა;
- კოლეჯის საშტატო განრიგი;
- შინაგანაწესი;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ინტერვიუს შედეგებით.

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.კოლეჯის პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი შრომის კანონმდებლობის, ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსის'' დირექტორის 2020 წლის 19 ნოემბრის N01-09/252 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტითა და შინაგანაწესის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია ა(ა)იპ კოლეჯ „იკაროსში" ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა, კოლეჯის შესაძლებლობების გაზრდა თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლებით უზრუნველყოფის გზით. პოლიტიკის დოკუმენტით უზრუნველყოფილია პერსონალის შერჩევის პროცესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრირება და კონკურსის ჩატარების წესი, ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები, ახალი თანამშრომლის მიღების და სამუშაოსთან ინტეგრაციის პროცესი და პროცედურები, პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა, პერსონალის კმაყოფილების და საჭიროებების შეფასების მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარების მექანიზმები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, და სამუშაო ადგილით დასაქმებულის უზრუნველყოფა შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა ვალდებულებები, გამოსაცდელი ვადით დასაქმება, სამუშაო, შესვენებისა და დასვენების დრო, შვებულებით სარგებლობის პირობები, შრომის ანაზღაურება, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების პირობები, შესრულების დისციპლინა, დისციპლინური წახალისება და პასუხისმგებლობა, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისა და დავის განხილვისა და გადაწყვეტის გზები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისობაშია კოლეჯის შინაგანაწესთან, არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსსა და კოლეჯის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ვინაიდან დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 3 ცვლაში, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მენეჯერების სამუშაო განრიგი, რომელიც თითოეულის შემთხვევაში არ აღემატება კვირაში 40 საათს.

განხორციელდა ინტერვიურება კოლეჯის პერსონალთან, მათი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა, რომ პერსონალის დანიშვნა ხორციელდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო მართვა კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების მიხედვით. მარეგულირებელი დოკუმენტაცია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ხელშეკრულებებისა და პირადი საქმეების შესწავლის და კოლეჯის პერსონალთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ შრომით სამართლებრივი ურთიერთობის პრინციპები დაცულია მიმდინარე პროცესებში. დაწესებულების პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობების შესახებ, რაც ასევე ასახულია მათ შრომით ხელშეკრულებებში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ა(ა)იპ კოლეჯში "იკაროსის" დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების და პერსონალი შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესი (ბრძ. N01-09/271, 27/12/2024), ასევე პერსონალის შერჩევის პოლიტიკასა და პროცედურებს არეგულირებს კოლეჯის „იკაროსი" ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ბრძ. N01-09/252, 19/11/2020). პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. ეს პროცესი ითვალისწინებს თანაბარ შესაძლებლობებს, კონკურენტულ გარემოსა და სამართლიანი შეფასების მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს კოლეჯის პროფესიული სტანდარტების დაცვას და განვითარებას. პერსონალის შერჩევისა და მოზიდვის პროცესში მნიშვნელოვანია ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრინციპის დაცვა, კოლეჯის მხრიდან ხორციელდება დარგში წამყვანი სპეციალისტების მოძიება და კოლეჯის პედაგოგის პოზიციაზე მოწვევა, შესაბამისად კოლეჯის პროფესიული პედაგოგები არიან დარგის წამყვანი სპეციალისტები. სხვა შემთხვევებში, იმავე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკიდან გამომდინარე, კოლეჯი ხელს უწყობს თანამშრომელთა დაწინაურებას, რა მიზნითაც პირველ რიგში ვაკანტურ ადგილებზე განიხილავს არსებული თანამშრომლების რესურსს და შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მათი ახალ პოზიციაზე გადანიშვნა-დაწინაურება. შესარჩევად ასევე შეიძლება გამოყენებული იქნას გასაუბრების წესიც. წერილობითი განცხადებისა და

შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე. კოლეჯის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის კანდიდატთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დგინდება კანდიდატის კვალიფიკაციის შესაბამისობა. დაწესებულებაში დანერგილია ასევე არსებული კადრების დაწინაურების და როტაციის პრაქტიკა. რაც ხელს უწყობს დასაქმებულთა პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების უკეთ ათვისებას და ინსტიტუციის განვითარებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.კოლეჯს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, თანამდებობრივი დებულება, საშტატო განრიგი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეები და დადასტურდა მათი კვალიფიკაციის დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობა. პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და შინაგანაწესის შესაბამისად. პერსონალი იცნობს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს. ყველა პირად საქმეში განთავსებულია დაწესებულების მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი პერსონალის ადაპტაციისა და კოლეჯთან ინტეგრაციის წესი, მათ შორის დასასაქმებელი პირისთვის წინარე სახელშეკრულებო პერიოდიდან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე ადმინისტრირების პროცესები, დასაქმებულის სამუშაო ადგილითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფისა და ადაპტაციის გეგმის შემუშავების მექანიზმები. კოლეჯის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილი მექანიზმების შესაბამისად, უზრუნველყოფილია დასაქმებულთა ჩართულობა სხვადასხვა პროცესში, მათ შორის პროგრამის შემუშავების, ინიცირების, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სხვა პროცესებთან დაკავშირებით. კოლეჯის ფუნქციონირება ემყარება გუნდური მუშაობის პრინციპებს და მოვალეობებიც დელეგირებულია მართვის პროცესში. კოლეჯის თანამშრომლებთან ინტერვიუებითაც დასტურდება, რომ თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი კოლეჯის ფუნქციონირების ნაწილში და არსებული ადამიანური რესურსით ხელს უწყობენ კოლეჯის ინსტიტუციურ განვითარებას. ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილ იქნა სამუშაო ჯგუფებისა და კომისიის შექმნის შესახებ ბრძანებები, თანამშრომელთა შრომითი ჩართულობისა და კმაყოფილების კვლევის ანალიზი, სადაც თანამშრომლები დადებითად აფასებენ გუნდური მუშაობის პრინციპებს, აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის სტრუქტურა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის საშტატო განრიგი;
- შინაგანაწესი;
- თანამდებობრივი დებულება;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2 პერსონალის განვითარება**

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, HR სისტემის შექმნას უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება, პერსონალის განვითარების პროგრამების შემუშავება, ტრენინგები კვალიფიციური და მოტივირებული კადრების მოსამზადებლად, მოტივაციის გაზრდა, პერსონალის შეფასება და სამუშაო კმაყოფილების კვლევა. ადამიანური რესურსების მართვის ამოცანაა: სამუშაო ადგილების შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალით დაკომპლექტება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვა; თანამშრომლებთან ურთიერთობისას შრომის კანონმდებლობის დაცვა; შრომის შინაგანაწესის შესრულებისა და შრომის დისციპლინის დაცვის კონტროლი და თითოეული საშტატო (შტატგარეშე) თანამდებობისათვის განსაზღვრული სამუშაო აღწერილობების დეტალური გაწერა. პერსონალის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც საშუალებას აძლევს კოლეჯში დასაქმებულ ყველა პირს, საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები ეფექტურად განახორციელოს. კოლეჯის პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკის მიზნებია: მოახდინოს კოლეჯის პერსონალის საჭიროებების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და მოახდინოს მათი კარიერული განვითარების გზების დასახვა, უზრუნველყს კოლეჯის პერსონალის შესაძლებლობების კვლევა შეფასებისა ან/და თვითშეფასების გზით და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებას; უზრუნველყოფს პერსონალის საჭიროების/კმაყოფილების გამოვლენა. კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა თანამშრომელთა შრომითი ჩართულობისა და კმაყოფილების კვლევის ანალიზი, სადაც თანამშრომლები დადებითად აფასებენ პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში, ინდივიდუალურ მხარდაჭერასა და კონსულტირებას.
ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა აგრეთვე წარმოდგინა პერსონალის განვითარების 2025 წლის გეგმა, განსახორციელებელი აქტივობების, ადამიანური და ფინანსური რესურსების, სამიზნე ჯგუფებისა და შესრულების პერიოდის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის ადამიანური მართვის პოლიტიკის მიხედვით, პერსონალის კმაყოფილების და საჭიროებების კვლევა ტარდება საჭიროების შესაბამისად, მინიმუმ წელიწადში ერთხელ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით (კითხვარების შევსება; ფუკუს ჯგუფებთან შეხვედრა და სხვა), კვლევა ტარდება დირექტორის მოადგილის და კოლეჯის იურისტის თანამშრომლობით. შეფასების შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შეფასების შედეგების შესაბამისად, შესაძლოა, განისაზღვროს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროება. ასეთ შემთხვევაში, შეფასებულ პირთან და მის უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დგება პერსონალის განვითარების გეგმა, რომლის აღსრულებასაც უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილე. შეფასების შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და შეფასების შედეგების შესაბამისად, შესაძლოა განისაზღვროს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროება. ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერმა ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინა ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა აგრეთვე წარმოდგინა პერსონალის განვითარების 2025 წლის გეგმა, განსახორციელებელი აქტივობების, ადამიანური და ფინანსური რესურსების, სამიზნე ჯგუფებისა და შესრულების პერიოდის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.კოლეჯი პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის მართავს პროფესიული განვითარების ღონისძიებებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს, ხელს უწყობს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში და სხვადასხვა სამთავრობო/არასამთავრობო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგანიზაციების მიერ კოლეჯთან თანამშრომლობით დაგეგმილ ტრენინგებზე, სემინარებზე, სამუშაო შეხვედრებში და სხვა განმავითარებელ აქტივობებში მონაწილეობას. კოლეჯი უზრუნველყოფს ფინანსური რესურსის გამოყოფას ტრენინგებზე/კონფერენციებზე და სხვა აქტივობებზე მონაწილეობის მიზნით. კოლეჯმა წარმოადგინა ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „კულინარიის“ პროფესიული განათლების მასწავლებლის საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის შესახებ. აგრეთვე დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის საჭიროებების კვლევის საფუძველზე 2022 და 2023 წლების დირექტორის ბრძანებები კოლეჯის თანამშრომლებისთვის უცხოური ენის (ინგლისური ენა, გერმანული ენა) შემსწავლელი კურსების ჩატარების შესახებ.

პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი კოლეჯის საგანმანათლებლო და საორგანიზაციო საქმიანობაში, იზიარებენ დირექციის/ადმინისტრაციის მოსაზრებებს და ხშირად ესწრებიან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს და ა.შ. აღნიშნული ასევე დასტურდება კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, ინტეგრაციის პროცესის მიზანია ხელი შეუწყოს ახალდანიშნული თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას, კოლეჯის მიზნების, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმებისა და მოქმედი პროცედურებისა და წესების შესახებ ცნობიერების გაზრდასა და თანამშრომლებთან ადაპტაციას. ინტეგრაციის პროცესი გამოიყენება აგრეთვე კოლეჯის თანამშრომლის დაწინაურებისა ან/და ერთი პოზიციიდან მეორეში გადასვლისას. ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხიმგებელია დირექტორის მიერ გამოყოფილი სათანადო პირი. ყოველი ახალდანიშნულ თანამშრომელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. ინტეგრაციის პროცესის ფარგლებში: დირექტორის მიერ გამოყოფილი პირი ახალდანიშნულ თანამშრომელს აცნობს კოლეჯის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მიმდინარე ერთწლიან და სტრატეგიულ გეგმებს, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებსა და კოლეჯში მოქმედ პროცედურებსა და წესებს, დირექტორის მიერ გამოყოფილი პირი ახალ თანამშრომელს აცნობს „სამუშაო აღწერილობას“ და განუმარტავს თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და სპეციფიკა, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში და უსახავს ყველა იმ საჭირო ორიენტირს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვნად შესრულებისათვის. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორის მიერ გამოყოფილი პირი და უშუალო ხელმძღვანელი, ერთობლივად ადგენენ კონკრეტულ ტრენინგ-პროგრამას ახალი თანამშრომლისთვის, სადაც მითითებულია რა დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინოს თანამშრომელმა, შემდგომი მუშაობისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.კოლეჯის შინაგანაწესი განსაზღვრავს წახალისების სახეს თანამშრომლის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის და გამოიყენებს ერთ ან რამდენიმე წახალისების ფორმას. წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და ფულადი პრემია, დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კვალიფიკაციის ასამაღლებელი ან პროფესიული გადამზადების კურსებზე გაგზავნა და სხვა. წახალისების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი პერსონალის შეფასების საფუძველზე, ან/და დასაქმებულის უშუალო უფროსის წარდგინებით (დეტალური მოხსენებითი ბარათის/მტკიცებულებების საფუძველზე). დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად ირკვევა, რომ დაწესებულება ხშირად მიმართავს თანამშრომელთა წახალისების ღონისძიებებს, რაც დადასტურებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით სატრენინგო მომსახურების შესყიდვების თაობაზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის საშტატო განრიგი;
- შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- 2025 წლის პერსონალის განვითარების გეგმა;
- პერსონალის წახალისების შესახებ ბრძანებები;
- პერსონალის სამუშაო პროცესის ადაპტაციის მექანიზმები;
- კმაყოფილების კვლევა;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის სსმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“ მდებარეობს ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი N4-ში. შენობა კოლეჯს გადმოცემული აქვს იჯარის ხელშეკრულებით (2019 წლის 20 აგვისტოს) პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლებით. საიჯარო ხელშეკრულება მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წლის ვადით (2029-მდე). შენობა ნაგებობა მოიცავს ნაგებობა N1-დან ფართობს 9500.196 კვ.მ, N2-დან საერთო ფართს 2273.61 კვ. მ, ნაგებობა N3 და N4 საერთო ფართით 565 კვ.მ, შენობა ნაგებობას N5 და N6 საერთო ფართით 2135 კვ.მ და მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის შენობა-ნაგებობებიდან რეაბილიტირებულია 2550 კვ.მ ფართი, ხოლო 4901 კვ.მ ფართი არარეაბილიტირებულია. კოლეჯის სასწავლო შენობაში განთავსებულები არიან დევნილები 6558,68 კვ.მ ფართზე, რაც აფერხებს შენობის გამოყენებას სასწავლო მიზნებისთვის. კოლეჯს შემუშავებული აქვს ახალი პროექტი, რომელიც სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. აღნიშნულ რეაბილიტირებულ ფართში არის: A ტიპის 7 სასწავლო გარემო თითოეული მოწყობილი ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე, სულ 105 ადგილი; B ტიპის 4 სასწავლო გარემო თითოეული აღჭურვილია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე, სულ 60 ადგილი, C ტიპის 11 სასწავლო გარემო.
დაწესებულებაში სივრცეები გამოყოფილია ადმინისტრაციული პერსონალისთვის, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის, თეორიული სწავლების და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები. დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღიჭურვა მატერიალური რესურსით: ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერით, სკანერით. სპეციალური კომპიუტერით, რომელიც უზრუნველყოფს მხედველობადაქვეითებული სტუდენტებისთვის სასწავლო მასალის გაცნობას. სსსმ/შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემო მოწყობილია მხოლოდ პირველ სართულზე.
მატერიალური რესურსის ფლობის შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსებით

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 05 ოქტომბრის N-206 ბრძანებით დამტკიცებულია ,,მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“ , რომლის მიხედვითაც კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და თანამშრომელთა მიერ კოლეჯის მატერიალური რესურსებით და საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას. კოლეჯის სტუდენტებს, მსმენელებს და თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზით, იქ განთავსებული კომპიუტერებით, პერიფერიული მოწყობილობებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და თანამშრომლებს უფლება აქვთ სამუშაო/სასწავლო საათებში გამოიყენონ კოლეჯის კაბინეტებში, აუდიტორიებში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ოთახებში და სასწავლო სახელოსნოებში არსებული ინვენტარი (აღჭურვილობა) და კომპიუტერული ტექნიკა უსაფრთხოების წესების დაცვით. ისარგებლონ ინტერნეტით და მისი მეშვეობით მოიძიონ სასწავლო ინფორმაცია, გადმოწერონ და ჩაიწერონ ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე. ისარგებლონ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, გააკეთონ საჭირო ქსერო ასლები, შეასრულონ პრაქტიკული დავალებები. კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორისგან მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ტექნიკისა და ინტერნეტით მომსახურების გამოყენებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯში მიმდინარე ყოველდღიური საქმიანობის შეუფერხებლად განსახორციელებლად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N84 ბრძანებით დამტკიცებულია (ა)იპ კოლეჯის „იკაროსის" სასწავლო მიზნებისთვის მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, ჩამოწერისა და ნარჩენების უტილიზაციის წესი. რომელშიც გაწერილია კოლეჯის ტერიტორიის დასუფთავების, ნარჩენების შეგროვების/განთავსების, სამუშაო/სასწავლო სივრცეებისა და ადგილების სველი წესით დალაგება/დეზინფექციის მექანიზმები.
კოლეჯის ,,თანამდებობრივი დებულება", მოიცავს მედდის, მეეზოვის, დამლაგებლის თანამდებობრივ ინსტრუქციებს, სადაც განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ვალდებულება. კოლეჯის შენობის დიდი ნაწილი დაკავებული აქვთ ლტოლვილებს, რაც ხშირად აჩენს აუცილებლობას დასუფთავდეს მიმდებარე ტერიტორიები. კოლეჯის მფლობელობაში არსებული ყველა სივრცე კონტროლირებადია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით. რაც დასტურდება ჰიგიენური საშუალებების შეძენის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციითა და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.კოლეჯი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რომელიც ფუნქციონირებს ბუნებრივ აირზე და გათბობით უზრუნველყოფს ყველა სასწავლო აუდიტორიას, ლაბორატორიას, სასწავლო სახელოსნოს და სველ წერტილს. აღნიშნული დასტურდება როგორც კომუნალური გადახდის ქვითრებით ასევე ფაქტობრივი გარემოებით (ვიზუალური დათვალიერებით და სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვით).

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად დაწესებულებაში შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად პერიოდულად ახორციელებს რისკების შეფასებას, განმავითარებელი რეკომენდაციების გაცემას, ასევე პერიოდულად ტარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟები რასაც ადასტურებს, როგორც გასაუბრების შედეგები, ასევე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის წლიური ანგარიშები და დასწრების ფურცლები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.კოლეჯში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მასალითა და ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების" წესი, რომლის საფუძველზეც ხდება სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა საჭირო მასალებითა და ნედლეულით. მომარაგება ხორციელდება მოქმედი სასწავლო პროგრამების მოთხოვნებიდან გამომდინარე. დაწესებულება ბიუჯეტით განსაზღვრულ საჭირო შესყიდვებს ახორციელებს, სახელმწიფო შესყიდვას. დაწესებულებამ ექპერტებს წარუდგინა პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამსახურებრივი ბარათები მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის მოთხოვნის შესახებ, მიღება ჩაბარების აქტი

მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერით მალა-ნედლეულის ჩაბარების შესახებ და მოდულის დასრულების შემედგ, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურებრივი ბარათი დარჩენილი მასალა-ნედლეულის ჩამოწერის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსა და მასწავლებლებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალები და ნედლეული შეუფერხებლად მიეწოდებათ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 3 ივნისის N01-09/89 ბრძანებით დამტკიცებულია განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის – კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის), მდგომარეობის შემოწმებას და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენას. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს, როგორც კოლეჯის რესურსების რეგულარულ შეფასებას, ასევე, კვლევის კომპონენტს. - მასწავლებლების და სტუდენტების გამოკითხვით რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან, რელევანტურობასთან დაკავშირებით. შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯი უზრუნველყოფს რესურსების გაუმჯობესებას, შეკეთება/განახლებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8.პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

შენობის აზომვითი ნახაზით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ კოლეჯის შენობაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას. სველი წერტილები განთავსებულია ყველა სართულზე, რომელიც მოწესრიგებულია სათანადო დონეზე და დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები. შშმ სტუდენტებისთვის სანიტარული კვანძი მოწყობილია მხოლოდ პირველ სართულზე, რადგან შენობა არის საკმაოდ ძველი დასრულ რეაბილიტაციამდე არ უხერხდება ლიფტისა და პანდუსის გაკეთება ყველა სართულზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9.დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას შენობა, რომელშიც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ოთხ სართულზე. ნაგებობა ისეა დაპროექტებული, რომ იძლევა ბუნებრივი განათების შესაძლებლობებს. კოლეჯის სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკას აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათება. რაც უზრუნველყოფს სწავლის/მუშაობის შესაბამის პირობებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

10.დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას შენობაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. სასწავლო გარემოები და სამუშაო სივრცეები გადანაწილებულია ისე, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას ხელი არ შეეშალოს. მაგალითად, შენობაში არ არის ერთმანეთში გამავალი სასწავლო აუდიტორიები, გარდა ამისა, პირს არ უწევს ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ ოთახებში გავლა იმისათვის, რომ სასწავლო ან დასვენების სივრცით ისარგებლოს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

11.კოლეჯს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონულად, ასევე გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკა განთავსებულია კოლეჯის პირველ სართულზე, წიგნადი ფონდის შესაბამისი ფართით, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და ტექნიკით (ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერი). ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სპეციალური კომპიუტერი და წიგნები სსსმ პირებისთვის. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და გატარებულია საინვენტარო წიგნში. ბიბლიოთეკაში არსებობს სასწავლო ლიტერატურის ელექტრონული კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას, რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- იჯარის ხელშეკრულება;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „სასწავლო პროცესის მასალითა და ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების“ წესი;
- დასუფთავების, ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების წესი;
- შევსებული სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება სივრცეების/ფართების ფლობა;
- წყლისა, დასუფთავებისა და ელექტროენერგიის გადახდის ქვითრები;
- მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის წესი ;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- მიღება ჩაბარების აქტები ;
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ჩატარებული კვლევის შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები;

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

შენობაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, შენობაში მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო კამერები. შპს ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის „ მიერ გაცემულია დასკვნა შენობა- ნაგებობის მდგრადობის დასკვნა შენობის ტექნიკური მდგრადობის ინსპექტირების შედეგების შესახებ, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო წესებსა და ნორმატივების მოთხოვნებს.

**კოლეჯმა წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მართვის სამსახურის მიერ გაცემული სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა N 2038 (2019 წლის 22 ნოემბერი). დოკუმენტში მოცემულია კოლეჯის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა). შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას დაევალა განსაზღვრულ დროში რიგი ღონისძიებების შესრულება. ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საბოლოო დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, კოლეჯის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განმარტა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება ვერ მოხდება დაწესებულების რეაბილიტაციამდე. შესაბამისად, ინდიკაოტორის მოთხოვნა შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 1 აგვისტოს N01-09/159 ბრძანებით. ხარვეზის აღმოსაფხვრელად, გეგმაში გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. კოლეჯს შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 18 თვე, თუმცა შესაბამისობის გეგმაში ტექნიკური ხარვეზია, „შესაბამისობის ტიპში“ მითითებულია მეტწილი ნაცვლად ნაწილობრივისა.
*ეასპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების პოზიციას, ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.*

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბმისია სტანდარტის მოთხოვნებთან.**

2.კოლეჯს დირექტორის ბრძანების დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რის თანახმადაც პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას უზრუნველყოფს კოლეჯში დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 2 პირი. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, შენობაში განთავსებულია სამედიცინო დახმარების ოთახი აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით და საშუალებებით. კოლეჯში წარმოებს შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ტელეფონის ნომრები, რომლებზეც უნდა მოხდეს დაკავშირება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში. სასწავლო აუდიტორიებში და სახელოსნოებში განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 ივნისის ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც 2025 წლის 23 ივნისის N01925130 კორესპონდენციით შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. კოლეჯში პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილია საგანგებო შტაბი, რომლის მიზანია კოლეჯში შექმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელება. საგანგებო შტაბი უზრუნველყოფს წყალდიდობის, ხანძრის, მიწისძვრის და სხვა ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა დაცვის საერთო ორგანიზაციული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ღონისძიებების წარმართვას. ასევე, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მისი განვითარების შემთხვევაში, შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების შემუშავებას და ორგანიზებას, საფრთხეების იდენტიფიცირებას და შეფასებას, საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების, საავარიო - სამაშველო სამუშაოების და სხვა გადაუდებელი სამუშაოების განხორციელებას. გარდა ამისა, კოლეჯში მოქმედებს საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა, რომელიც განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას და სასწავლო აუდიტორიებში. კოლეჯის პერსონალის უმეტეს ნაწილს (საგანგებო შტაბის წევრებს) გავლილი აქვთ შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს „საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების, საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების (საობიექტო დონეზე) და სახანძრო უსაფრთხოების“ ტრენინგი, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.შენობის მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვის მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი“, რომლის მიხედვითაც, წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები არიან დარაჯები.

შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი 32 ერთეული ვიდეო - სათვალთვალო კამერა (14-გარე გამოყენების, 18 - შიდა გამოყენების). იმ სივრცეში, სადაც წარმოებს ვიდეოთვალთვალი, განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები აღნიშნულის თაობაზე. ასევე გარე პერიმეტრის დაცვის მომსახურების მიზნით გაფორმებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა N 2038 (2019 წლის 22 ნოემბერი).
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ვიზუალური დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.ა(ა)იპ კოლეჯი ,,იკაროსი" საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. ყველა პროგრამისათვის განკუთვნილია მინიმუმ ერთი პერსონალური კომპიუტერი/ ნოუთბუქი და ერთი პროექტორი ეკრანით ან ტელევიზორი პრეზენტაციის მეთოდით სწავლებისათვის. ბიბლიოთეკის სამკითხველოში სტუდენტებისათვის განკუთვნილია 6 კომპიუტერი. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ჩართულია მართვის საერთო სისტემაში ,,Eflow". კოლეჯში არსებული ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტ ქსელში. კოლეჯი ჩართულია პროფესიული კოლეჯების ერთიან მონაცემთა ბაზაში (vet.ge) და საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სპეციალისტის თანამდებობა, რომელიც სისტემატიურად უზრუნველყოფს ბაზაში ინფორმაციის შეტანას. რეესტრის წარმოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია თანამშრომელთა სამსახურებრივ ინსტრუქციებში. დაწესებულებაში არის 4 კომპიუტერული აუდიტორია - B გარემო. 2024 წლის საინვენტარიზაციო აღწერის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბაგარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაცემებით და ადგილზე დათვალიერებით დასტურდება, რომ კომპიუტერული ტექნიკა განაწილებულია ამგვარად: 1 აუდიტორია-15 კომპიუტერი (კეისი, მონიტორი), 1 ლეპტოპი, 1 პრინტერი, 1 ეკრანი;
მე-2 აუდიტორია-15 კომპიუტერი (კეისი, მონიტორი), 1 პრინტერი, 1 ეკრანი; მე-3 აუდიტორია-15კომპიუტერი (პროცესორი, მონიტორი), ლეპტოპი, 1 პრინტერი, 1 ტელევიზორი; მე-4 აუდიტორია-15 კომპიუტერი (პროცესორი, მონიტორი), 1 პროექტორი, 1 ტელევიზორი, 1 პრინტერი. სულ კოლეჯს A,B და C გარემოზე , ბიბლიოთეკისთვის და ადმინისტრირებისთვის გადანაწილებული აქვს: კომპიუტერი (პროცესორი ,მონიტორი)-78ცალი; 125 ლეპტოპი; 10 ტელევიზორი; 6 პროექტორი; 25 პრინტერი და 2 მონიტორი.
არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატურია. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობაში და დაწესებულების მართვაში გამოიყენება საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კორპორატიული სატელეფონო მომსახურებისა და ინტერნეტ მომსახურებისთვის გაფორმებულია ხელშეკრულება შპს ,,სილქნეტთან", ხოლო ვებ - ჰოსტინგისა და დომეინის მომსახურებისთვის - შპს ,,პროსერვისთან". კოლეჯში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.დაწესებულების დირექტორის 27/08/2020 წლის N176 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT რისკებისა და პროცესების მართვის პოლიტიკა".
ა(ა)იპ კოლეჯში იკაროსი საინფორმაციო სისტემები და ქსელები აგებულია უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად, კიბერ შეტევების თავიდან ასაცილებლად კოლეჯის გარე ქსელის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ინტერნეტ პროვაიდერი და განათლების სამინისტროს VPN ქსელის მარშუტიზატორი, შიდა ქსელის უსაფრთხოება დაცულია ფაიარვოლით (firewall) რომელიც უზრუნველყოფს საშიში შემცველობის ვებ გვერდების წვდომის ბლოკირებას, ქსელური ტრაფიკის კონტროლსა და ასრულებს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას არა ავტორიზებული წვდომის მცდელობის შემთხვევაში. პერსონალურ კომპიუტერებზე მუდმივად ხდება ოპერაციული სისტემის განახლება, რომელიც აღჭურვილია ანტივირუსული და საზიანო პროგრამებისაგან ინფორმაციის დასაცავი საშუალებებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.კოლეჯში მოქმედება პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ (პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება და სახელმძღვანელო პრინციპები- ბრძ. N01-09/255ა, 16.12.2024) და შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან. მექანიზმის მიზანია, ა(ა)იპ კოლეჯში „იკაროსი“ პერსონალური მონაცემის დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. კოლეჯი პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება სერთიფიცირებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალისტთა, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის განხორციელებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.კოლეჯში პერიოდულად ხდება IT ინფრასტრუქტურაში გამოყენებული მოწყობილობების (კომპიუტერები, როუტერები, სვიჩები, ქსელი, IP კამერები და სხვა) გამართულად მუშაობის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროგრამული და ტექნიკური ოპტიმიზაცია (საჭიროებიდან გამომდინარე). ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი პერიოდულად საკუთარი ინიციატივით, ან მომხმარებელთა მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობების მდგომარეობის შესწავლას (როგორც ტექნიკურ, ასევე პროგრამულ დონეზე), მათ შესაბამისობას კოლეჯში მიმდინარე პროცესებთან და საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას მათი შეკეთების/ახლით ჩანაცვლების შესახებ. შესაბამისად, კოლეჯი აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.კოლეჯი უზრუნველყოფს, კომპიუტერებით და შესაბამისი მომსახურებით ხელმისაწვდომობას როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის. კოლეჯის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისათვის; შესაძლებელია ინტერნეტით (უკაბელო ინტერნეტი) სარგებლობა თავისუფალი წვდომის რეჟიმში, როგორც ადმინისტრაციის, ისე მასწავლებლების და სტუდენტებისათვის. კოლეჯი ატარებს კვლევებს, როგორც პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე პერსონალთან IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და მომსახურების შესახებ. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები. ყოველივე აღნიშნული დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილია შესაბამისი მონაცემების კომპიუტერები შესაძლებელია ინტერნეტით (უკაბელო ინტერნეტი) სარგებლობა თავისუფალი წვდომის რეჟიმში. კოლეჯი ატარებს კვლევებს, როგორც პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე პერსონალთან IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და მომსახურების შესახებ. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება სხვადასხვა ღონისძიება.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. კოლეჯში აქტიურია დაწესებულების დომენით პერსონალისთვის ელ-ფოსტის მისამართები. კომუნიკაციისთვის არსებობს სტუდენტთა ჯგუფები ფეისბუქ გვერდზე, რომლის საშუალებითაც ხდება სტუდენტთა ინფორმირება, ინფორმაციის გავრცელება. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი ახორციელებს ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურეობას. შეხვედრებისთვის გამოიყენება როგორც Google Meets, ასევე Microsoft Teams, Zoom პლატფორმები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT რისკებისა და პროცესების მართვის პოლიტიკა;
- საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შესყიდვის დოკუმენტები;
- ქსელის ადმინისტრატორთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოწმებისა და შეფასების შედეგები;
- კვლევის შედეგები;
- პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.დაწესებულებაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა E-flow, არსებობს ოფიციალური დოკუმენტების აღრიცხვის სარეგისტრაციო სპეციალური ჟურნალები, სადაც ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. ჟურნალები ზონარგაყრილია და ბეჭედდასმული. ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის" დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/70 ბრძანებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - კოლეჯის „იკაროსი" -ს საქმისწარმოების ინსტრუქცია. კოლეჯის საქმისმწარმოებელი ახორციელებს შემოსული და გასული კორესპონდენციების რეგისტრაციას, სისტემატიზაციასა და მის ოპერატიულ მიწოდებას ხელმძღვანელობისა და შემსრულებლებისათვის, უზრუნველყოფს კორესპონდენციის, მათ შორის კონტროლზე აყვანილ დავალებათა დადგენილ ვადებში შესრულების კონტროლს, უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, უზრუნველყოფს საქმისწარმოებაში დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვას, დამუშავებასა და გადაცემას არქივისათვის არსებული წესების თანახმად და სხვა. კოლეჯში მიმდინარეობს ტაბელის წარმოება სამუშაო დროის აღრიცხვისათვის, სტუდენტების აღრიცხვიანობა მიმდინარეობს, როგორც ჟურნალებში, ასევე ელექტრონულადაც. სტუდენტების პირადი საქმეების მოწესრიგება, დანიშვნის ბრძანებებისა და სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანების წიგნების, დიპლომების გაცემის წიგნის წარმოება და ა.შ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.2014 წლიდან კოლეჯი ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიან სისტემაში ,,eflow" და იყენებს როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. აღნიშნულ სისტემაში ჩართულია ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი და პედაგოგი. ,,eflow"- ში ჩართული არ არიან პროფესიული სტუდენტები და მსმენელები, თუმცა მათ მიერ შემოსული დოკუმენტაცია იტვირთება სისტემაში საქმისმწარმოებლის მიერ. კოლეჯი აგრეთვე იყენებს https://vet.emis.ge/ და https://e-vet.emis.ge/auth/login ელექტრონულ ბაზას

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელია ელექტრონული საინფორმაციო სისტემების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ადმინისტრირებას და როგორც პროფესიულ სტუდენტთა შესახებ, ისე კოლეჯის საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია სრულად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადასტურებულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.ექსპერტთა შემოწმების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს „საქმისწარმოების წესით“ დადგენილი შემოსული დოკუმენტების შესრულების და გაცემის ვადები, რომელზე კონტროლიც ეკისრება საქმისმწარმოებელს. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. ასევე დადასტურდა რომ კოლეჯი დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- ელექტრონულ სიტემის (eFlow) შემოწმების შედეგები;
- საქმისმწარმოებელთან გასაუბრების შედეგები:
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები და შემოწმების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.კოლეჯის ვებგვერდი https://icarus.edu.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი წარმოადგენენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმას. კოლეჯის ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა, მისამართი). ორივე პლატფორმის შემთხვევაში შესაძლებელია წერილობითი კომუნიკაცია კოლეჯის ადმინისტრაციასთან. ვებ-გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო მონაცემები, დაწესებულების სტრუქტურა, კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამები, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, მთავარი სიახლეები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის, სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ, დასაქმების შესაძლებლობები: ინფორმაცია პარტნიორი ბიზნეს-ორგანიზაციების შესახებ და სხვა. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, რომლის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი. ვინაიდან დაწესებულების მისიაში იკვეთება უცხოური თანამშრომლობა, კოლეჯის ვებგვერდის ძირითადი გვერდები ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზეც.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.კოლეჯი არ ახორციელებს უცხოენოვან პროგრამებს, თუმცა თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან, რაც მისიაშიც იკვეთება. კოლეჯის საერთაშორისო პარტნიორებისთვის/სამომავლო პარტნიორებისთვის დაწესებულების ვებგვერდზე ყველა საჭირო ინფორმაცია (სიახლეები, ინფორმაცია დაწესებულების, პროგრამების, ადმინისტრაციის შესახებ) განთავსებულია ინგლისურ ენაზე, მაგრამ პარალელურად მიმდინარეობს ვებგვერდის რეკონსტრუქცია და ინგლისურენოვანი ნაწილის დახვეწა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.კოლეჯს შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა წესი, რომლითაც რეგულირდება ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა. აღნიშნული წესით განისაზღვრება სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.კოლეჯში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების კატალოგები, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობის, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. კატალოგში ასახულია პროფესიული სტუდენტების აქტივობები, პარტნიორი ორგანიზაციები, პროფორიენტაციური ღონისძიებები და სხვა. კატალოგები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე https://icarus.edu.ge/; შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას კოლეჯის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროგრამების კატალოგში ცვლილებები გონივრულ ვადებში მიმდინარეობს პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ასევე კოლეჯის მიერ დასამატებელი/განსახორციელებელი პროგრამების არსებობის შესაბამისად

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.კოლეჯი საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს იყენებს. 1. დაინტერესებული პირების უკუკავშირის შედეგად აღმოჩნდა, რომ უფრო დეტალურ ინფორმაციას საჭიროებდნენ კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მათი შინაარსის, დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. 2. საჯარო შეხვედრების პროცესის შემდგომი უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ დაინტერესებული პირებისთვის მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარება, დასაქმების შესაძლებლობების შეთავაზება, შესაბამისად კოლეჯმა უზრუნველყო პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება აპლიკანტებთან და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებთან. 3. შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაინტერესებული პირებისთვის მნიშვნელოვანია გაეცნონ რეალურ სამუშაო გარემოს და მოსინჯონ საკუთარი შესაძლებლობები. კოლეჯმა უზრუნველყო პარტნიორ კომპანიებში აპლიკანტთა ვიზიტები პროფესიების უკეთ გაცნობის მიზნით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- პსდ-ს მოქმედი ვებგვერდი ;
- ვებ-გვერდსა და სოც. ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაციის, სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.3 ფინანსური რესურსები**

**5.3.1** დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.კოლეჯის ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. პროგრამული დაფინანსება ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ხარჯებს , ხოლო ვაუჩერული დაფინანსება პროგრამების წარმატებით განხორციელებისთვის მიმდინარე

ხარჯს, მათ შორის პედაგოგების შრომით ანაზღაურებას, სასწავლო მასალას და სხვა ასევე კოლეჯის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სახელმწიფო უზრუნველყოფს დამატებითი სუბსიდიის გამოყოფას; კოლეჯს არ აქვს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები; შესყიდვები ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების კანონის სრული დაცვით; გადახდა ხაზინის ერთიანი სისტემით; კოლეჯი ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს აბარებს დამფუძნებელს წესდების შესაბამისად.; ასევე ყოველკვარტალურად ფინანსთა სამინისტროში იგზავნება კვარტალური საკასო ხარჯების შესახებ ინფორმაცია; კოლეჯის მიერ მტკიცდება შესყიდვების გეგმები როგორც საკუთარი შემოსულობების ასევე საბიუჯეტო სახსრებით შესყიდვის დაგეგმვის მიზნით. გეგმა ეფუძნება კოლეჯის მიერ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტს. კოლეჯის მიერ ყოველკვირეულად ხორციელდება სასწავლო პროდუქტის შეუფერხებელი მიწოდება სასწავლო ჯგუფებისთვის, დირექტორის მიერ თითოეული მოდულისთვის დამტკიცებული ყოველკვირეულად გაწერილი ნედლეულის სიის საფუძველზე. ბიუჯეტის შემუშავებისას გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები. კოლეჯის მოქმედი წესდების საფუძველზე დირექტორი ამტკიცებს ბიუჯეტს, რომელშიც გაწერილია დაწესებულების, როგორც სამოქმედო ასევე გათვალისწინებულია მიმდინარე, საოპერაციო ხარჯები, უზრუნველყოფილი სათანადო ფინანსური რესურსით. კოლეჯი წლის ბოლოს ფაქტობრივ ბიუჯეტს ადარებს საპროგნოზო ბიუჯეტს, ითვალისწინებს საოპერაციო წლის განმავლობაში სხვადასხვა არაპროგნოზირებად გარემოებებს და მომავალი წლის ბიუჯეტს ხდის უფრო რეალისტურს. კოლეჯი აწარმოებს დაფინანსების დინამიკას ბოლო რამდენიმე წლისათვის, რაც საშუალებას აძლევს მიიღოს სწორი ფინანსური გადაწყვეტილებები. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინება ხდება მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.კოლეჯი უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, ყოველწლიურად ადგენდეს საკუთარ ფინანსურ ანგარიშს/ ბალანსს და წარუდგენს მათ მიერ განსაზღვრულ ვადებში ზემდგომ ორგანოს - საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს. ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უგზავნის კოლეჯის ყოველწლიურ ანგარიშს მათ მიერ მოთხოვნილი ფორმის შესაბამისად. დაწესებულების ფინანსური ოპერაციები განთავსებულია საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის პორტალზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯი უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, ყოველწლიურად ადგენდეს საკუთარ ფინანსურ ანგარიშს/ ბალანსს და წარუდგენს მათ მიერ განსაზღვრულ ვადებში ზემდგომ ორგანოს - საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს. ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უგზავნის კოლეჯის ყოველწლიურ ანგარიშს მათ მიერ მოთხოვნილი ფორმის შესაბამისად. დაწესებულების ფინანსური ოპერაციები განთავსებულია საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის პორტალზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯი შეფასებების საფუძველზე ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით ხელმძღვანელობს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტის, რომელიც ეყრდნობა IPSAS საერთაშორისო სტანდარტებს, საფინანსო საქმიანობის სფეროში არსებულ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებსა და არსებულ პრაქტიკას. კოლეჯი ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე, და მას საანგარიშო წლის დასრულების შემდგომ პერიოდში წარუდგენს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას, რის საფუძველზეც გეგმავს სამომავლო ბიუჯეტს. ფინანსური შედეგების გაანალიზების საფუძველზე განსაზღვრავს ღონისძიებებს ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით და შეიმუშავებს მათი გამოსწორების კონკრეტულ გზებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაფინანსების დინამიკა;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები,

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კულინარიის ხელოვნება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013. |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | #01-09/371, 22/08/2018 (ბოლო ცვლილება 27.12.2024 N01-09/272) |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისის, მარშალ გელოვანის #4 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 336 - იმიტირებული |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 86 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 101 კრედიტი |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

## IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

## 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კოლეჯის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, მოამზადოს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, ტურიზმისა და მომსახურების სფეროს მიმართულების პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური, კომპენტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება ასევე დაწესებულების ხედვას და სტრატეგიულ გავნითარების გეგმას. დაწესებულებამ ჩაატარა მეორადი კვლევა, სადაც აღნიშნულია, რომ შრომის ბაზრის ეროვნული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით,ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევამ გვიჩვენა ამ ეტაპზე მომსახურების სფეროს დაბალ და საშუალო რგოლის სპეციალისტების ძალიან დიდი დეფიციტია; დამსაქმებელმა საჭიროა მიიღოს კონკრეტული, მისთვის აუცილებელი უნარების მქონე კადრები ( ფართე პროფილის მზარეული, კონდიტერი ,ბართენდერი, აზიური და ქართული რესტორნის მზარეული, პურ ფუნთუშეულის მცხობელი, და.აშ). (2023 და 2024 წლის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - შრომის ბაზრის ანალიზი).
პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასადგენად კოლეჯმა გამოკითხვა ჩაატარა ქ. თბილისში არსებული პარტნიორ დაწესებულებებთან, რომელთა საქმიანობა მოიცავს მომსახურების სფეროს. აღნიშნულ კომპანიებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 2 000-მდე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ მცირე, საშუალო და დიდი ზომის კომპანიები.
ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ მზარეულის პროფესია შრომის ბაზარზე ერთ ერთი ყველაზე მოთხოვნადია, საშუალო ანაზღაურება დამწყები სპეციალისტების მერყეობს 1000-1500 ლარამდე. ასევე კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ ძალიან დიდი მოთხოვნაა კულინარიის ხელოვნების კურსდამთავრებულებზე, გამოკითხვის ანალიზის მიხედვით, მიუხედავად იმისა რომ ყოველწლიურად 100 ზე მეტი პირი ასრულებს აღნიშნულ პროგრამას , ეს რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს კერძო სექტორის მოთხოვნას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კულინარიის ხელოვნება“ მაღალია სწავლის მსურველთა მომართვიანობა. კოლეჯი აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს 2019 წლიდან, აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი კულინარიის ხელოვნების პროგრამაა, დაწესებულება ყოველწლიურად აცხადებს მიღებას საშუალოდ 150 ადგილზე და წლების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილზე რეგისტრირდება 4 ჯერ მეტი პირი. დაწესებულებამ წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სტატისტიკა პროგრამაზე რეგისტრირებული პირების შესახებ. 2023 წელს დაწესებულების მიერ გამოცხადებულ 162 ადგილზე დარეგისტრირდა 564 პირი, ხოლო 2024 წელს 158 ადგილზე 344 აპლიკანტი.
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საშუალოდ 81%-ია. კოლეჯის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან არამარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც კვალიფიკაციის შესაბამის წამყვან პოზიციებზე: ბრენდშეფები, შეფმზარეულები, და ა.შ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კულინარიის ხელოვნება“ დაშვების წინაპირობა ეფუძნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტს - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება “(სარეგისტრაციო ნომრით 10117-პ), რის საფუძველზეც შემუშავებულია აღნიშნული პროგრამა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კულინარიის ხელოვნება“ დაშვების პროცედურები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებას და ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2021 წლის 03 აგვისტოს N01-09/133 ბრძანებით(ბოლო ცვლილება -2024 წლის 31 მაისის N01-09/87 ბრძანება ) ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე“ აპლიკანტთა შერჩევის წესს, რომელშიც გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურები. შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯს შემუშავებული და 2020 წლის 03 ივნისის N01-09/72 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის „იკაროსი“ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების მიდგომებს, მის სპეციფიკას, ადამიანურ რესურსებს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებით ფაქტორებს, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას და სხვა. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, კოლეჯმა შეიმუშავა დოკუმენტი - ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კულინარიის ხელოვნება“ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების მიერ ,,კულინარიის ხელოვნება“ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ასევე, საგანმანათლებლო რესურსების ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,კულინარიის ხელოვნება“ გათვალისწინებულია ორი არჩევითი მოდული - 1. უცხოური ენა - გერმანული და 2. ქარვინგი. ორივე მათგანი 1. ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ წესდების მე-4-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარიის ხელოვნება“ დამტკიცებულია „იკაროსი“ დირექტორის 2018 წლის 22 აგვისტოს ბრძანებით #01-09/371. მოდიფიცირებულია: ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის ბრძანებით N01- 09/272, 27/12/2024.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის ხელოვნება“ სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამა ეფუძნება სსიპ განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტს - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება" (სარეგისტრაციო ნომერი 10117-პ).

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8.,,კულინარიის ხელოვნება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება" . დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს: პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას, ინფორმაციას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული - „ქართული ენა A2" და აღნიშნული მოდულის განხორციელების სასწავლო გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია;
- სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა )
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია"
- კოლეჯის წესდება;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილების (მოდიფიცირების) და გაუქმების წესი";
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება" სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს დადგენილი წესის შესაბამისად. კოლეჯი გეგმავს 2 წლის განმავლობაში მიიღოს 336 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A ტიპის 5 სასწავლო გარემო თითოეული მოწყობილია ჯგუფში15 პროფესიულ სტუდენტზე, სულ 105 ადგილი. B ტიპის 4 სასწავლო გარემო თითოეული აღჭურვილია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე, სულ 60 ადგილი.
5 C გარემო - N205 , N208, N410,411; N114. თითოეულ სამზარეულოში შესაძლებელია ერთდროულად განთავსდეს 14 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნულ სახელოსნოებს ერთდროულად შეუძლია მოემსახუროს კულინარიის ხელოვნების 112 პროფესიულ სტუდენტს 1 ცვლაში. ხოლო 3 ცვლაში შესაძლებელია 336 პროფესიული სტუდენტის სწავლება. კოლეჯს პროგრამის თეორიული კომპონენტის განხორციელებისთვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყოფილი აქვს 5 აუდიტორია. თეორიული კომპონენტის მაქსიმალური დატვირთვა არის კვირაში 17 -18 სთ. 24 ჯგუფის შემთხვევაში 420 საათი. შესაბამისად 1 თეორიული კლასი 3 ცვლის და შაბათ- კვირის დატვირთვის გათვალისწინებით იმუშავებს 84 საათიანი დატვირთვით. თითოეული აუდიტორიის დღიური დატვირთვა 12 საათი. პირველადი დახმარების სწავლებისთვის გამოყოფილია სამედიცინო სასწავლი ოთახი, მაქსიმალური დატვირთვა არის კვირაში 3 სთ.
დაწესებულებას სასწავლო პროცესი განსაზღვრული აქვს კვირაში 7 დღიანი დატვირთვით 3 ცვლაში. დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული ჰყავს სულ 54 განმახორციელებელი პირი, ხოლო 40 პროფესიული განათლების მასწავლებელი საერთო პროფესიულ და პროფესიულ მოდულებზე. კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად პროგრამის თანაგანხორციელებაში არ არის სხვა დაწესებულება.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კულინარიის ხელოვნება განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (სულ - 54 პროფესიული განათლების მასწავლებელი) და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ, მოდულების უმრავლესობაზე მინიმუმ 4 მასწავლებელია გათვალისწინებული. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილების დროს მხედველობაშია მიღებული ის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით, ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად მათი რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), ასევე, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა როგორც პროფესიული მოდულების ასევე, ზოგადი მოდულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებელ პირებს. გასაუბრებისა და შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციებს. შედგა გასაუბრება მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რითაც ასევე დადასტურდა მათი მაღალი კომპეტენცია. განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები იყვნენ მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება როგორც პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით ასევე გასაუბრებით. ის პროგრამის დანერგვის დღიდან მუშაობს დაწესებულებაში და ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას, სწავლების მაღალი ხარისხის შენარჩუნებას პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში და სხვა. უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსის არგუმენტირებულ დასაბუთებას, აცნობს სტუდენტებს კოლეჯის შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, ახდენს სტუდენტების ინფორმირებულობას მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გასაუბრებისას დაადასტურეს რომ ხელმძღვანელს მჭიდრო კავშირი აქვს როგორც ზოგადი, ასწევე დარგობრივი მოდულების განხორციელების პროცესში.
აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ განსაზღვრული დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირებიდან 4 პროფესიული მასწავლებელი კოლეჯ იკაროსის კურსდამთავრებულია .
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. ელექტრონული რესურსები ჩაწერილია დისკზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსის" დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს აქვთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა, რესურსების ცვლილებაც
გამოიწვიოს. მოდიფიკაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები, შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს კვალიფიკაციის მინიჭებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლის შედეგები/კრიტერიუმები იცვლება, გაიცემა ცნობა. სწავლის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხდება აპლიკანტთა/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება.
კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პირთა მხარდაჭერას სასწავლო პროცესში. დაწესებულებას დიდი გამოცდილება აქვს აღნიშნული მიმართულებით, ინკლუზიური განათლების ჯგუფს შესაბამისი პირების ჩართულობით შემუშავებული ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები როგორც მოდიფიკაციის ასევე აკომოდაციის გზით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია პროგრამის კულინარიის ხელოვნება განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და სხვა. პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ასევე ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს .
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- საბიბლიოთეკო წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ხორციელდება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე. შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, რომელიც გამოავლენს საუკეთესო ადგილობრივ/საერთაშორისო პრაქტიკას, საწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯს შემუშავებული აქვს „იკაროსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, შეფასების და პროგრამის გაუქმების წესი და პროცედურები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები” რომლებიც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელებას საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, გაწერილი პროცედურების შესაბამისად. კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს უკუკავშირით მიღებული მონაცემების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამის შეფასებისთვის ასევე მნიშვნელოვანი ინდიკატორებია პროგრამაზე რეგისტრირებულთა, ჩარიცხულთა მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა რაოდენობის, ასევე დასაქმების მაჩვენებელი, რაც ასახულია პროგრამის შეფასების ფორმაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, შეფასების და პროგრამის გაუქმების წესი და პროცედურები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხიმგებელები არიან სასწავლო პროცესის მენეჯერები, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულის შესახებ, ასევე, გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან. სასწავლო ცხრილები გამოკრულია პროფესიული სტუდენტებისათვის თვალსაჩინო ადგილზე, საინფორმაციო დაფაზე, ასევე აღნიშნული ცხრილი სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონულად.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერას, სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად არ ითვალისწინებს პარტნიორ ორგანიზაციასთან პარტნიორობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება დაცვის სამსახური. კოლეჯში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებადა ჯანმრთელობა. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ", რომელის მიზანია ჩამოაყალიბოს უსაფრთოხების, ინციდენტების გამოვლენის, მათზე რეაგირების, მიტიგაციის და აღდგენის პროცესის სტანდარტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია, რომელსაც პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებს აცნობს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მოდულის განმახორციელებელი პირი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი*
- *„კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების წესი",*
- *მოდულის კალენდარული გეგმა*
- *„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";*
- პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის უსაფრთხოების წესები;
- გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.დირექტორის 3.6.2020 წლის N01-09/86 ბრძანებით (ბოლო ცვლილება - 2025 წლის 16 ივნისის N01-09/115 ბრძანებით) დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, აღნიშნული წესის მე -6 თავი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასებას. რომლებშიც ასახულია შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, რაც უზრუნველყოფს კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. აღნიშნული წესების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება ხდება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს რომელიც შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა შეფასების მტკიცებულებები. **ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა , რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N01-09/76, 17/04/2025), არ მოიცავს აპელაციის პირობებს, საჭირო მასალებისა და ნედლეულის ჩამონათვალს, უსაფრთხო გარემოს პირობებს და დამატებით პირობებს, ასევე ხშირ შემთხვევაში დავალების პირობები იყო ბუნდოვანი და არ იძლეოდა ზუსტ ინსტრუქციას. გარდა ამისა, შეფასების მტკიცებულებებში მოცემული იყო ჯგუფისთვის მხოლოდ ერთი შეფასების ინსტრუმენტი, ხოლო თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის გამოკითხვის შემთხვევაში მხოლოდ ტესტური დავალება, პრაქტიკული დავალებისა და**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**პრაქტიკული დავალება დაკვირვების შემთხვევაში დავალების შესრულების მოკლე ინსტრუქცია ან შეფასების ფურცელი (ჩეკლისტი). შესაბამისად ყველა ფორმა იყო განსხვავებული.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, ცვლილება განახორციელოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში და დაამატოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.**

**მნიშვნელოვანია, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, სადაც მოცემული იქნება სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების პირობების შესახებ. დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს ერთიანი მიდგომა შეფასების ფორმების გამოყენებისას. რესურსების დაზოგვის მიზნით დაწესებულებას შეუძლია გადავიდეს ელექტრონულ შეფასებაზე მოდულის შეფასების მიმართულების შესაბამისად.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. ა(ა)იპ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის №01-09/88 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 23 ივნისის N01-09/121 ბრძანებით) დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლის თანახმადაც ხარისხის მენეჯერი ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს და ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ხოლო ხარისხის მართვის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს. დარგის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს.

ა)შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია

ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას;
გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს რისკების სისტემა, რომლის მეშვეობითაც გამოავლენს რისკ-ფაქტორებს. კერძოდ:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;
- სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით);
- პრაქტიკული დავალებების სიმრავლე;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;
- საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება;
- მოდულის ფარგლებში გადაბარების არარსებობა;
- სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის შედეგად დგება ვერიფიკაციის ანგარიში. ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებული/მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს.

**დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 2024 წლის ვერიფიკაციის გეგმა, რისკ ფაქტორები და ვერიფიკაციის შედეგები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2025 წლის წლის ვერიფიკაციის გეგმა, რომელის ჩატარებაც განსაზღვრულია ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა, 2024 წლის ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის დასკვნა და შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში ყველა პროგრამის ფარგლებში.**
**აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დადგინდა რა პერიოდში ჩატარდა ვერიფიკაცია, ასევე არ ჩანს რამდენი ჯგუფის ფარგლებში მოხდა შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების შესწავლა, წარმოდგენილია მხოლოდ ერთი რისკ ფაქტორი - დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, დაწესებულების მიერ არასწორად არის გაგებული ვერიფიკაციის ტერმინი, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანებაში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის გეგმაში - საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია, ასევე შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია. შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში არ ჩანს შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციის პროცედურა და სამიზნე ჯგუფი. თუმცა განათლების ვერიფიკატორისა და დარგის ვერიფიკატორის მიერ გაიცა რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების მტკიცებულებების მიმართ.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განახორციელოს დადგენილი მექანიზმის შესაბამისად, განსაზღვროს მეტი რისკ ფაქტორი, ვინაიდან დაწესებულება ახორციელებს სწავლებას 3 ცვლაში, კვირაში 7 დღიანი დატვირთვით. რეალური სურათის მისაღებად უმჯობესია კოლეჯმა შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ვერიფიკაციის ანგარიშში დეტალურად ჩანდეს ვერიფიკაციის პროცედურა და რეკომენდაციები.**

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** კოლეჯი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად. კოლეჯში მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები მუდმივად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებში განსაზღვრულია, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს შემდგომი განვითარებისათვის სხვადასხვა მიმართულებით: პროგრამის განვითარება, სწავლების მეთოდები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც, .განმავითარებელი შეფასება როგორც ცოდნის, ისე სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

აღნიშნული შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეამოწმოს სტუდენტის გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების შესახებ ხდება განზოგადოებულად. კონკრეტული სტუდენტის შეფასების შედეგები განიხილება მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე. ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების შედეგების გასაჯაროება განხორციელდება სტუდენტის სიტყვიერი თანხმობით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- *მოდულის შეფასების ინსტრუმენტის ფორმა,;*
- *მოდულების სწავლის შედეგების უწყისის ფორმა ;*
- *განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები;*
- *ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის შედეგები;*
- *დათვალიერების შედეგები;*
- *ინტერვიურების შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კონდიტერია |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | #01-09/371, 22/08/2018; 01-09/272 27.12.2024წ. |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 4 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 60 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 80 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 95 კრედიტ |

### III.ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

### III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

### IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ■ **შესაბამება**<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** | ■ **შესაბამება**<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, მოამზადოს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, ტურიზმისა და მომსახურების სფეროს მიმართულების პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური, კომპენტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება ასევე დაწესებულების ხედვას და სტრატეგიულ განვითარების გეგმას. დაწესებულებამ ჩაატარა მეორადი კვლევა, სადაც აღნიშნულია, რომ შრომის ბაზრის ეროვნული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევამ გვიჩვენა ამ ეტაპზე მომსახურების სფეროს დაბალ და საშუალო რგოლის სპეციალისტების ძალიან დიდი დეფიციტია; დამსაქმებელმა საჭიროა მიიღოს კონკრეტული, მისთვის აუცილებელი უნარების მქონე კადრები ( ფართე პროფილის მზარეული, კონდიტერი, ბართენდერი, აზიური და ქართული რესტორნის მზარეული, პურ ფუნთუშეულის მცხობელი, და.აშ). (2023 და 2024 წლის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - შრომის ბაზრის ანალიზი).

პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასადგენად კოლეჯმა გამოკითხვა ჩაატარა ქ. თბილისში არსებული პარტნიორ დაწესებულებებთან, რომელთა საქმიანობა მოიცავს მომსახურების სფეროს. აღნიშნულ კომპანიებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 2 000-მდე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ მცირე, საშუალო და დიდი ზომის კომპანიები.

ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ კონდიტერის პროფესია შრომის ბაზარზე ერთ ერთი ყველაზე მოთხოვნადია, საშუალო ანაზღაურება დამწყები სპეციალისტების მერყეობს 1000-1500 ლარამდე. ასევე კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ ძალიან დიდი მოთხოვნაა კულინარიის ხელოვნების კურსდამთავრებულებზე, გამოკითხვის ანალიზის მიხედვით, კოლეჯის მიერ მომზადებული კურსდამთავრებულთა რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს კერძო სექტორის მოთხოვნას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კონდიტერია“ მაღალია სწავლის მსურველთა მომართვიანობა. კოლეჯი აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს 2019 წლიდან, აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი კულინარიის ხელოვნების და კონდიტერიის პროგრამებია, წლების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილზე რეგისტრირდება 4 ჯერ მეტი პირი. დაწესებულებამ წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სტატისტიკა პროგრამაზე რეგისტრირებული პირების შესახებ. 2023 წელს დაწესებულების მიერ გამოცხადებულ 36 ადგილზე დარეგისტრირდა 334 პირი, ხოლო 2024 წელს 35 ადგილზე 192 აპლიკანტი.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საშუალოდ 90%-ია. კოლეჯის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან არამარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც კვალიფიკაციის შესაბამის წამყვან პოზიციებზე: ბრენდშეფები, შეფმზარეულები, და ა.შ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კონდიტერია“ დაშვების წინაპირობა ეფუძნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტს - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება “(სარეგისტრაციო ნომრით 10117-პ), რის საფუძველზეც შემუშავებულია აღნიშნული პროგრამა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. საგანმანათლებლო პროგრამაზე კონდიტერია დაშვების პროცედურები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებას და ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2021 წლის 03 აგვისტოს N01-09/133 ბრძანებით(ბოლო ცვლილება -2024 წლის 31 მაისის N01-09/87 ბრძანება ) ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე“ აპლიკანტთა შერჩევის წესს, რომელშიც გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურები. შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯს შემუშავებული და 2020 წლის 03 ივნისის N01-09/72 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის „იკაროსი“ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების მიდგომებს, მის სპეციფიკას, ადამიანურ რესურსებს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებით ფაქტორებს, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას და სხვა. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, კოლეჯმა შეიმუშავა დოკუმენტი - ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე ,,კონდიტერია“ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების მიერ ,,კონდიტერია“ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ასევე, საგანმანათლებლო რესურსების ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ წესდების მე-4-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია“ დამტკიცებულია „იკაროსის“ დირექტორის 2018 წლის 22 აგვისტოს N01-09/371 ბრძანებით. მოდიფიცირებულია: ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის ბრძანებით N01-09/272, 27/12/2024)

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კონდიტერია“ სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამა ეფუძნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტს - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“ (სარეგისტრაციო ნომერი 10117-ვ).
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8.,,კონდიტერია'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“ . დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს: პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას, ინფორმაციას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული - „ქართული ენა A2“ და აღნიშნული მოდულის განხორციელების სასწავლო გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია;
- სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა )
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“
- კოლეჯის წესდება;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილების (მოდიფიცირების) და გაუქმების წესი“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- ინტერვიურების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია“ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს დადგენილი წესის შესაბამისად. კოლეჯი გეგმავს მიიღოს 60 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები. პროგრამისთვის განსაზღვრულია კონდიტერიის 1 C გარემოს. სულ კოლეჯს 2 ცვლაში შეუძლია საკონდიტრო სახელოსნოებში ერთდროულად 4 ჯგუფის სწავლება 15-15 . თითო მიღებაზე 2 ჯგუფი, ჯგუფში 15 სტუდენტი. სულ 30 სტუდენტი. კონდიტერიის სტუდენტს მაქსიმალური დატვირთვა ექნება კვირაში 18 საათი. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დროს გათვალისწინებულია, რომ დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში და ასევე შეჭრილი გრაფიკითაც. თეორიული კომპონენტის მაქსიმალური დატვირთვა არის კვირაში 18 სთ, 4 ჯგუფის შემთხვევაში 72 საათი. თეორიული სწავლებისთვის 7 დღიანი დატვირთვის შესაბამისად საკმარისია 1 თეორიული კლასი დღიური მაქსიმალური დატვირთვა 10 სთ . პირველადი დახმარების სწავლებისთვის გამოყოფილია სამედიცინო სასწავლო აუდიტორია, სწავლების კომპონენტის მაქსიმალური დატვირთვა არის კვირაში 3 საათი, ჯგუფების მაქსიმალური რაოდენობა 4 ხოლო საკონტაქტო საათების მაქსიმალური რაოდენობა 12 საათი.

დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული ჰყავს სულ 38 განმახორციელებელი პირი, ხოლო 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი საერთო პროფესიულ და პროფესიულ მოდულებზე.
,,კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად პროგრამის თანაგანხორციელებაში არ არის სხვა დაწესებულება.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კულინარიის ხელოვნება განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (სულ - 38 პროფესიული განათლების მასწავლებელი) და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ, მოდულების უმრავლესობაზე მინიმუმ 4 მასწავლებელია გათვალისწინებული. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილების დროს მხედველობაშია მიღებული ის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით, ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად მათი რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა ,,კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), ასევე, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა როგორც პროფესიული მოდულების ასევე, ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს. გასაუბრებისა და შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციებს. შედგა გასაუბრება მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რითაც ასევე დადასტურდა მათი მაღალი კომპეტენცია. განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები იყვნენ მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება როგორც პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით ასევე გასაუბრებით. ის პროგრამის დანერგვის დღიდან მუშაობს დაწესებულებაში და ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას, სწავლების მაღალი ხარისხის შენარჩუნებას პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციასა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში და სხვა. უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსის არგუმენტირებულ დასაბუთებას, აცნობს სტუდენტებს კოლეჯის შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, ახდენს სტუდენტების ინფორმირებულობას მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გასაუბრებისას დაადასტურეს რომ ხელმძღვანელს მჭიდრო კავშირი აქვს როგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი მოდულების განხორციელების პროცესში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. ელექტრონული რესურსები ჩაწერილია დისკზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს აქვთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა, რესურსების ცვლილებაც გამოიწვიოს. მოდიფიკაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები, შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს კვალიფიკაციის მინიჭებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლის შედეგები/კრიტერიუმები იცვლება, გაიცემა ცნობა. სწავლის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხდება აპლიკანტთა/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება.
კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პირთა მხარდაჭერას სასწავლო პროცესში. დაწესებულებას დიდი გამოცდილება აქვს აღნიშნული მიმართულებით, ინკლუზიური განათლების ჯგუფს შესაბამისი პირების ჩართულობით შემუშავებული ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები როგორც მოდიფიკაციის ასევე აკომოდაციის გზით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია პროგრამის ,,კონდიტერია“ განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და სხვა. პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ასევე ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს .
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- საბიბლიოთეკო წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ხორციელდება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების, პროფესიული

განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე. შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, რომელიც გამოავლენს საუკეთესო ადგილობრივ/საერთაშორისო პრაქტიკას, საწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯს შემუშავებული აქვს „იკაროსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, შეფასების და პროგრამის გაუქმების წესი და პროცედურები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები” რომლებიც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელებას საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, გაწერილი პროცედურების შესაბამისად. კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს უკუკავშირით მიღებული მონაცემების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამის შეფასებისთვის ასევე მნიშვნელოვანი ინდიკატორებია პროგრამაზე რეგისტრირებულთა, ჩარიცხულთა მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა რაოდენობის, ასევე დასაქმების მაჩვენებელი, რაც ასახულია პროგრამის შეფასების ფორმაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, შეფასების და პროგრამის გაუქმების წესი და პროცედურები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებლები არიან სასწავლო პროცესის მენეჯერები, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულის შესახებ, ასევე, გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან. სასწავლო ცხრილები გამოკრულია პროფესიული სტუდენტებისათვის თვალსაჩინო ადგილზე, საინფორმაციო დაფაზე, ასევე აღნიშნული ცხრილი სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონულად.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად სტუდენტების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერას, სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად არ ითვალისწინებს პარტნიორ ორგანიზაციასთან პარტნიორობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება დაცვის სამსახური. კოლეჯში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებადა ჯანმრთელობა. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ", რომელის მიზანია ჩამოაყალიბოს უსაფრთოხების, ინციდენტების გამოვლენის, მათზე რეაგირების, მიტიგაციის და აღდგენის პროცესის სტანდარტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია, რომელსაც პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებს აცნობს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მოდულის განმახორციელებელი პირი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი*
- *„კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების წესი",*
- *მოდულის კალენდარული გეგმა*
- *„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";*
- პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის უსაფრთხოების წესები;
- გასაუბრების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.დირექტორის 3.6.2020 წლის N01-09/86 ბრძანებით (ბოლო ცვლილება - 2025 წლის 16 ივნისის N01-09/115 ბრძანებით) დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, აღნიშნული წესის მე -6 თავი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასებას. რომლებშიც ასახულია შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, რაც უზრუნველყოფს კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. აღნიშნული წესების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება ხდება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს რომელიც შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა შეფასების მტკიცებულებები. **ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა , რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N01-09/76, 17/04/2025), არ მოიცავს აპელაციის პირობებს, საჭირო მასალებისა და ნედლეულის ჩამონათვალს, უსაფრთხო გარემოს პირობებს და დამატებით პირობებს, ასევე ხშირ შემთხვევაში დავალების პირობები იყო ბუნდოვანი და არ**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**იძლეოდა ზუსტ ინსტრუქციას. გარდა ამისა, შეფასების მტკიცებულებებში მოცემული იყო ჯგუფისთვის მხოლოდ ერთი შეფასების ინსტრუმენტი, ხოლო თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის გამოკითხვის შემთხვევაში მხოლოდ ტესტური დავალება, პრაქტიკული დავალებისა და პრაქტიკული დავალება დაკვირვების შემთხვევაში დავალების შესრულების მოკლე ინსტრუქცია ან შეფასების ფურცელი (ჩეკლისტი). შესაბამისად ყველა ფორმა იყო განსხვავებული.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, ცვლილება განახორციელოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში და დაამატოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.**

**მნიშვნელოვანია, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, სადაც მოცემული იქნება სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების პირობების შესახებ. დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს ერთიანი მიდგომა შეფასების ფორმების გამოყენებისას. რესურსების დაზოგვის მიზნით დაწესებულებას შეუძლია გადავიდეს ელექტრონულ შეფასებაზე მოდულის შეფასების მიმართულების შესაბამისად.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2.ა(ა)იპ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის №01-09/88 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 23 ივნისის N01-09/121 ბრძანებით) დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლის თანახმადაც ხარისხის მენეჯერი ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს და ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ხოლო ხარისხის მართვის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს. დარგის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს.

ა)შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია

ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას;
გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს რისკების სისტემა, რომლის მეშვეობითაც გამოავლენს რისკ-ფაქტორებს. კერძოდ:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;
- სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით);
- პრაქტიკული დავალებების სიმრავლე;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;
- საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოდულის ფარგლებში გადაბარების არარსებობა;
- სხვა.

ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის შედეგად დგება ვერიფიკაციის ანგარიში. ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებული/მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს.

**დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 2024 წლის ვერიფიკაციის გეგმა, რისკ ფაქტორები და ვერიფიკაციის შედეგები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2025 წლის ვერიფიკაციის გეგმა, რომელის ჩატარებაც განსაზღვრულია ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა, 2024 წლის ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის დასკვნა და შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში ყველა პროგრამის ფარგლებში.**
**აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დადგინდა რა პერიოდში ჩატარდა ვერიფიკაცია, ასევე არ ჩანს რამდენი ჯგუფის ფარგლებში მოხდა შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების შესწავლა, წარმოდგენილია მხოლოდ ერთი რისკ ფაქტორი - დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, დაწესებულების მიერ არასწორად არის გაგებული ვერიფიკაციის ტერმინი, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანებაში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის გეგმაში - საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია, ასევე შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია. შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში არ ჩანს შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციის პროცედურა და სამიზნე ჯგუფი. თუმცა განათლების ვერიფიკატორისა და დარგის ვერიფიკატორის მიერ გაიცა რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების მტკიცებულებების მიმართ.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განახორციელოს დადგენილი მექანიზმის შესაბამისად, განსაზღვროს მეტი რისკ ფაქტორი, ვინაიდან დაწესებულება ახორციელებს სწავლებას 3 ცვლაში, კვირაში 7 დღიანი დატვირთვით. რეალური სურათის მისაღებად უმჯობესია კოლეჯმა შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ვერიფიკაციის ანგარიშში დეტალურად ჩანდეს ვერიფიკაციის პროცედურა და რეკომენდაციები.**

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** კოლეჯი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი"-ს შესაბამისად. კოლეჯში მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები მუდმივად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებში განსაზღვრულია, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს შემდგომი განვითარებისათვის სხვადასხვა მიმართულებით: პროგრამის განვითარება, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც, .განმავითარებელი შეფასება როგორც ცოდნის, ისე სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

აღნიშნული შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეამოწმოს სტუდენტის გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების შესახებ ხდება განზოგადოებულად. კონკრეტული სტუდენტის შეფასების შედეგები განიხილება მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე. ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების შედეგების გასაჯაროება განხორციელდება სტუდენტის სიტყვიერი თანხმობით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- *მოდულის შეფასების ინსტრუმენტის ფორმა,;*
- *მოდულების სწავლის შედეგების უწყისის ფორმა ;*
- *განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები;*
- *ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის შედეგები;*
- *დათვალიერების შედეგები;*
- *ინტერვიურების შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სასტუმრო მომსახურება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N01-09/89; 12.06.2020; N01-09/41 19.02.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 4 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 180 - იმიტირებული მიდგომით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | 90 პროფესიული სტუდენტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 102 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 74 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 132 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 104 კრედიტი |

## IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

## IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კოლეჯის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, მოამზადოს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, ტურიზმისა და მომსახურების სფეროს მიმართულების პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური, კომპენტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება ასევე დაწესებულების ხედვას და სტრატეგიულ განვითარების გეგმას. დაწესებულებამ ჩაატარა მეორადი კვლევა, სადაც აღნიშნულია, რომ შრომის ბაზრის ეროვნული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევამ გვიჩვენა ამ ეტაპზე მომსახურების სფეროს დაბალ და საშუალო რგოლის სპეციალისტების ძალიან დიდი დეფიციტია; დამსაქმებელმა საჭიროა მიიღოს კონკრეტული, მისთვის აუცილებელი უნარების მქონე კადრები (2023 და 2024 წლის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - შრომის ბაზრის ანალიზი).

პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასადგენად კოლეჯმა გამოკითხვა ჩაატარა ქ. თბილისში არსებული პარტნიორ დაწესებულებებთან (სასტუმროები : ბილტმორი, ჰუალინგი, ქორტიარდ- მერიოტი, ჰილტონი, პულმანი და ა.შ), რომელთა საქმიანობა მოიცავს მომსახურების სფეროს. აღნიშნულ კომპანიებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 2 000-მდე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ მცირე, საშუალო და დიდი ზომის კომპანიები.

ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ სასტუმრო მომსახურების სპეციალისტის პროფესია შრომის ბაზარზე ერთ ერთი ყველაზე მოთხოვნადია, საშუალო ანაზღაურება დამწყები სპეციალისტების მერყეობს 1100-1500 ლარამდე. ასევე კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ ძალიან დიდი მოთხოვნაა სასტუმროს მომსახურების პროგრამის კურსდამთავრებულებზე, გამოკითხვის ანალიზის მიხედვით, კოლეჯის მიერ მომზადებული კურსდამთავრებულთა რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს კერძო სექტორის მოთხოვნას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სასტუმრო მომსახურება“ მაღალია სწავლის მსურველთა მომართვიანობა. კოლეჯი აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს 2020 წლიდან, წლების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილზე რეგისტრირდება 4 ჯერ მეტი პირი. დაწესებულებამ წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სტატისტიკა პროგრამაზე რეგისტრირებული პირების შესახებ. 2023 წელს დაწესებულების მიერ გამოცხადებულ 24 ადგილზე დარეგისტრირდა 90 პირი, ხოლო 2024 წელს 27 ადგილზე 58 აპლიკანტი.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საშუალოდ 80%-ია. კოლეჯის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან არამარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც კვალიფიკაციის შესაბამის წამყვან პოზიციებზე: ბრენდშეფები, შეფმზარეულები, და ა.შ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სასტუმრო მომსახურება“ დაშვების წინაპირობა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის, რის საფუძველზეც შემუშავებულია აღნიშნული პროგრამა. არაინტეგრირებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, ინტეგრირებულ პროგრამაზე საბაზო განათლება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამაზე ,სასტუმრო მომსახურება“ დაშვების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები" 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებას და ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი" დირექტორის 2021 წლის 03 აგვისტოს N01-09/133 ბრძანებით(ბოლო ცვლილება -2024 წლის 31 მაისის N01-09/87 ბრძანება ) ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე" აპლიკანტთა შერჩევის წესს, რომელშიც გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურები. შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯს შემუშავებული და 2020 წლის 03 ივნისის N01-09/72 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის „იკაროსი" პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების მიდგომებს, მის სპეციფიკას, ადამიანურ რესურსებს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებით ფაქტორებს, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას და სხვა. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, კოლეჯმა შეიმუშავა დოკუმენტი - ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი" პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე ,,სასტუმრო მომსახურება" მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების მიერ ,,სასტუმრო მომსახურება" პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ასევე, საგანმანათლებლო რესურსების ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,სასტუმრო მომსახურება" მოიცავს ერთ არჩევით მოდულს - პროგრამა აქვს არჩევითი მოდული: პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მომსახურება.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი" წესდების მე-4-ე მუხლის „გ" პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სასტუმრო მომსახურება" დამტკიცებულია „იკაროსის" დირექტორის N01-09/89ბრძანებით (12.06.2020). მოდიფიცირებულია: ბრძ. N01-09/41, 19/02/2025.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სასტუმრო მომსახურება“ სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამა ეფუძნება პროფესიულ საგანამანთელბლო სტანდარტს -,,სასტუმრო მომსახურება“

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8.,,სასტუმრო მომსახურება’’ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი -,,სასტურმო მომსახურება“ . დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს: პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას, ინფორმაციას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული - „ქართული ენა A2“ და აღნიშნული მოდულის განხორციელების სასწავლო გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია;
- სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა )
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“
- კოლეჯის წესდება;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილების (მოდიფიცირების) და გაუქმების წესი“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- ინტერვიურების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სასტუმრო მომსახურება“ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს დადგენილი წესის შესაბამისად. კოლეჯი გეგმავს მიიღოს 180 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 90 ინტეგრირებული მიდგომით. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემობი. პროგრამისთვის განსაზღვრულია C გარემო სარესტორნო სახერლოსნო)-2, თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი. 2 A გარემო (თეორიული და ინტეგრირებული სწავლება) თითოეულ აუდიტორიაში ერთდროულად 15 სტუდენტი. სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში. 4 CB გარემო (კომპიუტერული კლას- კაბინეტი,). თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში. 3 C გარემო (სასტუმროს ნომრები). თითო სახელოსნოში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთდროულად 15 სტუდენტი. 1 C გარემო (სამრეცხაო). თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი. სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში. თითო მიღება 6 ჯგუფი, სულ კოლეჯს 3 ცვლაში შეუძლია სასტუმრო მომსახურების C გარემოში ერთდროულად 12 ჯგუფის სწავლება 15-15 პროფესიული სტუდენტი. 2 მიღების მიღების ფარგლებში განხორციელდება 12 ჯგუფის მიღება. თითო მიღებაზე 6 ჯგუფი, ჯგუფში 15 სტუდენტი. სულ 90 სტუდენტი. როგორც ინტეგრირებულ პროგრამებზე ასევე არაინტეგრირებულზე. სწავლის ხანგრძლივობა არის 2 წელი. დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული ჰყავს სულ 51 განმახორციელებელი პირი.
**„სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად პროგრამის თანაგანხორციელებაში არ არის ჩართული სხვა დაწესებულება. სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, რომელის ინფრასტრუქტურაც კოლეჯს გააჩნია. თუმცა ვინაიდან იმიტირებული და რეალური სამუშაო გარემო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, პროფესიული სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაზე, სასტუმროს სხვადასხვა განყოფილებაში რეალური სამუშაო გარემოს გასაცნობად, ჰქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ და ჩაერთონ განყოფილებების (სასტუმროს მართვის მიმართულებების) საოპერაციო მართვაში.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სასტუმრო მომსახურება“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (სულ - 51 პროფესიული განათლების მასწავლებელი) და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ, მოდულების უმრავლესობაზე მინიმუმ 4 მასწავლებელია გათვალისწინებული. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილების დროს მხედველობაშია მიღებული ის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით, ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად მათი რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა „სასტურმო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), ასევე, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა როგორც პროფესიული მოდულების ასევე, ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს. გასაუბრებისა და შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციებს. შედგა გასაუბრება მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რითაც ასევე დადასტურდა მათი მაღალი კომპეტენცია. განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები იყვნენ მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება როგორც პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით ასევე გასაუბრებით. ის პროგრამის დანერგვის დღიდან მუშაობს დაწესებულებაში და ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგამის განვითარებას, სწავლების მაღალი ხარსიხისხ შენარჩუნებას პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციასა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში და სხვა. უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსის არგუმენტირებულ დასაბუთებას, აცნობს სტუდენტებს კოლეჯის შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, ახდენს სტუდენტების ინფორმირებულობას მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გასაუბრებისას დაადასტურეს რომ ხელმძღვანელს მჭიდრო კავშირი აქვს როგორც ზოგადი, ასწევე დარგობრივი მოდულების განხორციელების პროცესში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. ელექტრონული რესურსები ჩაწერილია დისკზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს აქვთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა, რესურსების ცვლილებაც გამოიწვიოს. მოდიფიკაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები, შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს კვალიფიკაციის მინიჭებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლის შედეგები/კრიტერიუმები იცვლება, გაიცემა ცნობა. სწავლის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხდება აპლიკანტთა/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება.
კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც უზუნველყოფს სსსმ და შშმ პირთა მხარდაჭერას სასწავლო პროცესში. დაწესებულებას დიდი გამოცდილება აქვს აღნიშნული მიმართულებით, ინკლუზიური განათლების ჯგუფს შესაბამისი პირების ჩართულობით შემუშავებული ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები როგორც მოდიფიკაციის ასევე აკომოდაციის გზით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია პროგრამის ,,სასტუმრო მომსახურება“ განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და სხვა. პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ასევე ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს .
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- საბიბლიოთეკო წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე. შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ,რომელიც გამოავლენს საუკეთესო ადგილობრივ/საერთაშორისო პრაქტიკას, საწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯს შემუშავებული აქვს „იკაროსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, შეფასების და პროგრამის გაუქმების წესი და პროცედურები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები” რომლებიც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელებას საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, გაწერილი პროცედურების შესაბამისად. კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს უკუკავშირით მიღებული მონაცემების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამის შეფასებისთვის ასევე მნიშვნელოვანი ინდიკატორებია პროგრამაზე რეგისტრირებულთა, ჩარიცხულთა მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა რაოდენობის, ასევე დასაქმების მაჩვენებელი, რაც ასახულია პროგრამის შეფასების ფორმაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, შეფასების და პროგრამის გაუქმების წესი და პროცედურები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელები არიან სასწავლო პროცესის მენეჯერები, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულის შესახებ, ასევე, გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან. სასწავლო ცხრილები გამოკრულია პროფესიული სტუდენტებისათვის თვალსაჩინო ადგილზე, საინფორმაციო დაფაზე, ასევე აღნიშნული ცხრილი სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონულად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელ პირებთან. სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერას, სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად არ ითვალისწინებს პარტნიორ ოარგანიზაციასთან პარტნიორობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება დაცვის სამსახური. კოლეჯში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებადა ჯანმრთელობა. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ", რომელის მიზანია ჩამოაყალიბოს უსაფრთოხების, ინციდენტების გამოვლენის, მათზე რეაგირების, მიტიგაციის და აღდგენის პროცესის სტანდარტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების ისტრუქცია, რომელსაც პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებს აცნობს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მოდულის განმახორციელებელი პირი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი*
- *„კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების წესი“;*
- *მოდულის კალენდარული გეგმა*
- *„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;*
- პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის უსაფრთხოების წესები;
- გასაუბრების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.დირექტორის 3.6.2020 წლის N01-09/86 ბრძანებით (ბოლო ცვლილება - 2025 წლის 16 ივნისის N01-09/115 ბრანებით) დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, აღნიშნული წესის მე -6 თავი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასებას. რომლებშიც ასახულია შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, რაც უზრუნველყოფს კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. აღნიშნული წესების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება ხდება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს რომელიც შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა შეფასების მტკიცებულებები. **ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებუელებებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა , რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N01-09/76, 17/04/2025), არ მოიცავს აპელაციის პირობებს, საჭირო მასალებისა და ნედლეულის**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ჩამონათვალს, უსაფრთხო გარემოს პირობებს და დამატებით პირობებს, ასევე ხშირ შემთვევაში დავალების პირობები იყო ბუნდოვანი და არ იძლეოზა ზუსტ ინსტრუქციას. გარდა ამისა, შეფასების მტკიცებულებებში მოცემული იყო ჯგუფისთვის მხოლოდ ერთი შეფასების ინსტურმენტი, ხოლო თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის გამოკითხვის შემთვევაში მხოლოდ ტესტური დავალება, პრაქტიკული დავალებისა და პრაქტიკული დავალება დაკვირვების შემთხვევაში დავალების შესრულების მოკლე ინსტრუქცია ან შეფასების ფურცელი (ჩეკლისტი). შესაბამისად ყველა ფორმა იყო განსხვავებული.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, ცვლილება განახორციელოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში და დაამტოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.**

**მნიშვნელოვანია, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს შეფასების ინსტრუმეტის ფორმა, სადაც მოცემული იქნება სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების პირობების შესახებ. დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს ერთიანი მიდგომა შეფასების ფორმების გამოყენებისას. რესურსების დაზოგვის მიზნით დაწესებულებას შეუძლია გადავიდეს ელექტრონულ შეფასებაზე მოდულის შეფასების მიმართულების შესაბამისად.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2.ა(ა)იპ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის №01-09/88 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 23 ივნისის N01-09/121 ბრძანებით) დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლის თანახმადაც ხარისხის მენეჯერი ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს და ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ხოლო ხარისხის მართვის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს. დარგის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს.

ა)შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია

ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას;
გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს რისკების სისტემა, რომლის მეშვეობითაც გამოავლენს რისკ-ფაქტორებს. კერძოდ:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;
- სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით);
- პრაქტიკული დავალებების სიმრავლე;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება;
- მოდულის ფარგლებში გადაბარების არარსებობა;
- სხვა.

ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის შედეგად დგება ვერიფიკაციის ანგარიში. ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებული/მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს.

**დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 2024 წლის ვერიფიკაციის გეგმა, რისკ ფაქტორები და ვერიფიკაციის შედეგები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2025 წლის წლის ვერიფიკაციის გეგმა, რომელის ჩატარებაც განსაზრვრულია ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა, 2024 წლის ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის დასკვნა და შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში ყველა პროგარმის ფარგლებში.**

**აღსანიშნავია, რომ წარმოადგენილი დოკუმენტებით ვერ დადგინდა რა პერიოდში ჩატარდა ვერიფიკაცია, ასევე არ ჩანს რამდენი ჯგუფის ფარგლებში მოხდა შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებუელებების შესწავლა, წარმოდგელია მხოლოდ ერთი რისკ ფაქტორი - დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, დაწესებულების მიერ არასწორად არის გაგებული ვერიფიკაციის ტერმინი, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანებაში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის გეგმაში - საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია, ასევე შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია. შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში არ ჩანს შეფასების ინსტურმენტის, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულების ვერიფკაციის პროცედურა და სამიზნე ჯგუფი. თუმცა განათლების ვერიფიკატორისა და დარგის ვერიფიკატორის მიერ გაიცა რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების მტკიცებულებების მიმართ.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისიწნებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განახორციელოს დადგენილი მექნიზმის შესაბამისად, განსაზღვროს მეტი რისკ ფაქტორი, ვინაიდან დაწესებულება ახორციელებს სწავლებას 3 ცვლაში, კვირაში 7 დღიანი დატვირთვით. რეალური სურათის მისაღებად უმჯობესია კოლეჯმა შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ვერიფიკაციის ანგარიშში დეტალურად ჩანდეს ვერიფიკაციის პროცედურა და რეკომენდაციები.**

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** კოლეჯი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად. კოლეჯში მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები მუდმივად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებში განსაზღვრულია, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს შემდგომი განვითარებისათვის სხვადასხვა მიმართულებით: პროგრამის განვითარება, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც, .განმავითარებელი შეფასება როგორც ცოდნის, ისე სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.
აღნიშნული შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეამოწმოს სტუდენტის გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.
სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების შესახებ ხდება განზოგადოებულად. კონკრეტული სტუდენტის შეფასების შედეგები განიხილება მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე. ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების შედეგების გასაჯაროება განხორციელდება სტუდენტის სიტყვიერი თანხმობით.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- *მოდულის შეფასების ინსტრუმენტის ფორმა,;*
- *მოდულების სწავლის შედეგების უწყისის ფორმა ;*
- *განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები;*
- *ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის შედეგები;*
- *დათვალიერების შედეგები;*
- *ინტერვიურების შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სარესტორნო მომსახურება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N01-09/89, 19/02/2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 4 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 180 - იმიტირებული მიდგომით |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | 90 პროფესიული სტუდენტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 102 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 74 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 132 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 104 კრედიტი |

### V. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

### III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ **შესაბამება**<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** | ☒ **შესაბამება**<br>☐ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.კოლეჯის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, მოამზადოს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, ტურიზმისა და მომსახურების სფეროს მიმართულების პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური, კომპენტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება ასევე დაწესებულების ხედვას და სტრატეგიულ გავნითარების გეგმას. დაწესებულებამ ჩაატარა მეორადი კვლევა, სადაც აღნიშნულია, რომ შრომის ბაზრის ეროვნული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით,ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევამ გვიჩვენა ამ ეტაპზე მომსახურების სფეროს დაბალ და საშუალო რგოლის სპეციალისტების ძალიან დიდი დეფიციტია; დამსაქმებელმა საჭიროა მიიღოს კონკრეტული, მისთვის აუცილებელი უნარების მქონე კადრები (2023 და 2024 წლის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - შრომის ბაზრის ანალიზი).

საერთაშიროსიო კვლევები ადასტურებს რომ ყოველწლიურად მზარდია მოთხოვნა მომსახურების სფეროს კადრებზე; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემებზე დაყრდნობით, მომსახურების სექტორი ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიების რიგშია, სადაც სარესტორნო მომსახურების სპეციალისტებზე მოთხოვნა სტაბილურად იზრდება.

ევროკავშირის 27 ქვეყანაში ჩატარებული შრომის ბაზრის დისბალანსის ანალიზიმა ასევე აჩვენა, რომ 13 ქვეყანაში სარესტორნო მომსახურების კადრებზე ძალიან დიდი დეფიციტია (Report on labour shortages and surpluses (2022) ; გვ21) პროგრამა პირდაპირ უკავშირდება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ინტეგრაციას როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ეკონომიკაში. პროგრამის დამატების მიზნით კოლეჯის მიერ ჩატარდა გამოკითხვა თბილისში არსებული კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციების, რომელთა საქმიანობა მოიცავს მომსახურების სფეროს. აღნიშნულ კომპანიებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 2 000-მდე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ მცირე, საშუალო და დიდი ზომის კომპანიები. ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ პროგრამა „სარესტორნო მომსახურების“ კურსდამთავრებულებზე შრომის ბაზარზე კადრი ძალიან მოთხოვნადია და დიდ სურვილს გამოთქვავენ, რომ პროგრამის დასრულებამდეც სურთ სტუდენტების დასაქმება. საშუალო ანაზღაურება დამწყები სპეციალისტების (მიმტანების) მერყეობს 1000-1200 ლარამდე; ასევე კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ძალიან დიდი მოთხოვნაა რესტორნის მენეჯერის, ადმინისტრატორის, ბარმენის, ბარისტას, სომელის სპეციალისტების პოზიციებზე და შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა რომ მიუხედავად იმისა რომ ყოველწლიურად 30 ზე მეტი პირი ასრულებს აღნიშნულ პროგრამას ,ცხადია ეს რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს კერძო სექტორის მხრიდან კადრის დიდ მოთხვნას. დამსაქმებლები ასევე ხაზს უსვავენ როგორც პროგრამის ხარისხს, ასევე კოლეჯის პედაგოგიურ და მატერიალურ რესურსებს, აღნიშნავენ რომ სტუდენტს ყველანაირი პირობა აქვს შექმნილი რომ გახდეს პროფესიონალი, ამას ადასტურებენ დასაქმებულების უნარჩვევებით და კოლეჯში სასწავლო პროცესში დაკვირვებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სარესტორნო მომსახურება“ მაღალია სწავლის მსურველთა მომართვიანობა. კოლეჯი აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს 2020 წლიდან, წლების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილზე რეგისტრირდება 4 ჯერ მეტი პირი. დაწესებულებამ წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სტატისტიკა პროგრამაზე რეგისტრირებული პირების შესახებ. 2023 წელს დაწესებულების მიერ გამოცხადებულ 24 ადგილზე დარეგისტრიდა 81 პირი, ხოლო 2024 წელს 14 ადგილზე 67 აპლიკანტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საშუალოდ 70%-ია. კოლეჯის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან არამარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც კვალიფიკაციის შესაბამის წამყვან პოზიციებზე: ბრენდშეფები, შეფმზარეულები, და ა.შ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სარესტორნო მომსახურება“ დაშვების წინაპირობა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის, რის საფუძველზეც შემუშავებულია აღნიშნული პროგრამა. არაინტეგრირებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, ინტეგრირებულ პროგრამაზე საბაზო განათლება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამაზე ,სრესტორნო მომსახურება“ დაშვების პროცედურები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებას და ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2021 წლის 03 აგვისტოს N01-09/133 ბრძანებით(ბოლო ცვლილება -2024 წლის 31 მაისის N01-09/87 ბრძანება ) ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე“ აპლიკანტთა შერჩევის წესს, რომელშიც გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურები. შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯს შემუშავებული და 2020 წლის 03 ივნისის N01-09/72 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის „იკაროსი“ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების მიდგომებს, მის სპეციფიკას, ადამიანურ რესურსებს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებით ფაქტორებს, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას და სხვა. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, კოლეჯმა შეიმუშავა დოკუმენტი - ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე ,,სარესტორნო მომსახურება“ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების მიერ ,,სარესტორნო მომსახურება“ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ასევე, საგანმანათლებლო რესურსების ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,სარესტორნო მომსახურება“ ინტეგრირებულ პროგრამას აქვს ორი არჩევითი მოდული: პრაქტიკული პროექტი - სარესტორნო მომსახურება და ყავის მომზადების ტექნოლოგია. ხოლო არაინტეგრირებულ პროგრამას აქვს ასევე ორი არჩევითი მოდული: ბარის ორგანიზება და ღვინის დეგუსტაცია. აღნიშნული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ წესდების მე-4-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სარესტორო მომსახურება“ დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის #01-09/89 ბრძანებით. მოდიფიცირებულია: ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის N01-09/42 ბრძანებით (19/02/2025).
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სარესტორნო მომსახურება“ სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამა ეფუძნება პროფესიულ საგანამანთელბლო სტანდარტს -,,სარესტორნო მომსახურება“
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8.,,სარესტორნო მომსახურება’’ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი -,,სარესტორნო მომსახურება“ . დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს: პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას, ინფორმაციას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული - „ქართული ენა A2“ და აღნიშნული მოდულის განხორციელების სასწავლო გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია;
- სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა )
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია"
- კოლეჯის წესდება;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილების (მოდიფიცირების) და გაუქმების წესი";
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სარესტორნო მომსახურება“ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს დადგენილი წესის შესაბამისად. კოლეჯი გეგმავს მიიღოს 180 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 90 ინტეგრირებული მიდგომით. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემობი. პროგრამისთვის განსაზღვრულია C გარემო სარესტორნო სახერლოსნო)-2, თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი. 2 A გარემო (თეორიული და ინტეგრირებული სწავლება) თითოეულ აუდიტორიაში ერთდროულად 15 სტუდენტი. სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში. 4 CB გარემო (კომპიუტერული კლას- კაბინეტი,). თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში. 1 C გარემო ბარი- ერთდროულად 15 სტუდენტი. სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში. თითო მიღება 6 ჯგუფი, სულ კოლეჯს 3 ცვლაში შეუძლია სასტუმრო მომსახურების C გარემოში ერთდროულად 12 ჯგუფის სწავლება 15-15 პროფესიული სტუდენტი. 2 მიღების მიღების ფარგლებში განხორციელდება 12 ჯგუფის მიღება. თითო მიღებაზე 6 ჯგუფი, ჯგუფში 15 სტუდენტი. სულ 90 სტუდენტი. როგორც ინტეგრირებულ პროგრამებზე ასევე არაინტეგრირებულზე. სწავლის ხანგრძლივობა არის 2 წელი. დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული ჰყავს სულ 49 განმახორციელებელი პირი.
**,,სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად პროგრამის თანაგანხორციელებაში არ არის ჩართული სხვა დაწესებულება. სწავლის შედეგები მიღწევადია ადგილზე, თუმცა ვინაიდან იმიტირებული და რეალური გარემო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, პროფესიული სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაზე, რესტორნის სხვადასხვა განყოფილებაში რეალურ სამუშაო გარემოს გასაცნობად, ჰქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ და ჩაერთონ განყოფილებების (რესტორნის მართვის მიმართულებების) საოპერაციო მართვაში.**
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სარესტორნო მომსახურება“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (სულ - 49 პროფესიული განათლების მასწავლებელი) და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ, მოდულების უმრავლესობაზე მინიმუმ 4 მასწავლებელია გათვალისწინებული. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილების დროს მხედველობაშია მიღებული ის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით, ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად მათი რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა ,,სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), ასევე, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა როგორც პროფესიული მოდულების ასევე, ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს. გასაუბრებისა და შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციებს. შედგა გასაუბრება მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რითაც ასევე დადასტურდა მათი მაღალი კომპეტენცია. განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები იყვნენ მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება როგორც პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით ასევე გასაუბრებით. ის პროგრამის დანერგვის დღიდან მუშაობს დაწესებულებაში და ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგამის განვითარებას, სწავლების მაღალი ხარსიხისხ შენარჩუნებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში და სხვა. უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსის არგუმენტირებულ დასაბუთებას, აცნობს სტუდენტებს კოლეჯის შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, ახდენს სტუდენტების ინფორმირებულობას მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გასაუბრებისას დაადასტურეს რომ ხელმძღვანელს მჭიდრო კავშირი აქვს როგორც ზოგადი, ასწევე დარგობრივი მოდულების განხორციელების პროცესში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. ელექტრონული რესურსები ჩაწერილია დისკზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსის" დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს აქვთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა, რესურსების ცვლილებაც გამოიწვიოს. მოდიფიკაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები, შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს კვალიფიკაციის მინიჭებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლის შედეგები/კრიტერიუმები იცვლება, გაიცემა ცნობა. სწავლის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხდება აპლიკანტთა/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება.
კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც უზუნველყოფს სსსმ და შშმ პირთა მხარდაჭერას სასწავლო პროცესში. დაწესებულებას დიდი გამოცდილება აქვს აღნიშნული მიმართულებით, ინკლუზიური განათლების ჯგუფს შესაბამისი პირების ჩართულობით შემუშავებული ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები როგორც მოდიფიკაციის ასევე აკომოდაციის გზით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია პროგრამის ,,სარესტორნო მომსახურება" განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და სხვა. პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ასევე ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს .
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- საბიბლიოთეკო წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ხორციელდება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე. შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ,რომელიც გამოავლენს საუკეთესო ადგილობრივ/საერთაშორისო პრაქტიკას, საწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯს შემუშავებული აქვს „იკაროსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, შეფასების და პროგრამის გაუქმების წესი და პროცედურები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები” რომლებიც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელებას საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, გაწერილი პროცედურების შესაბამისად. კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს უკუკავშირით მიღებული მონაცემების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამის შეფასებისთვის ასევე მნიშვნელოვანი ინდიკატორებია პროგრამაზე რეგისტრირებულთა, ჩარიცხულთა მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა რაოდენობის, ასევე დასაქმების მაჩვენებელი, რაც ასახულია პროგრამის შეფასების ფორმაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, შეფასების და პროგრამის გაუქმების წესი და პროცედურები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელები არიან სასწავლო პროცესის მენეჯერები, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულის შესახებ, ასევე, გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან. სასწავლო ცხრილები გამოკრულია პროფესიული სტუდენტებისათვის თვალსაჩინო ადგილზე, საინფორმაციო დაფაზე, ასევე აღნიშნული ცხრილი სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონულად.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერას, სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად არ ითვალისწინებს პარტნიორ ოარგანიზაციასთან პარტნიორობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება დაცვის სამსახური. კოლეჯში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებადა ჯანმრთელობა. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ", რომელის მიზანია ჩამოაყალიბოს უსაფრთოხების, ინციდენტების გამოვლენის, მათზე რეაგირების, მიტიგაციის და აღდგენის პროცესის სტანდარტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების ისტრუქცია, რომელსაც პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებს აცნობს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მოდულის განმახორციელებელი პირი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი*
- *„კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების წესი",*
- *მოდულის კალენდარული გეგმა*
- *„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";*
- პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის უსაფრთხოების წესები;
- გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1.დირექტორის 3.6.2020 წლის N01-09/86 ბრძანებით (ბოლო ცვლილება - 2025 წლის 16 ივნისის N01-09/115 ბრანებით) დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, აღნიშნული წესის მე -6 თავი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასებას. რომლებშიც ასახულია შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, რაც უზრუნველყოფს კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. აღნიშნული წესების შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ინფორმირება ხდება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს რომელიც შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა შეფასების მტკიცებულებები. **ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებუელებებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა , რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N01-09/76, 17/04/2025), არ მოიცავს აპელაციის პირობებს, საჭირო მასალებისა და ნედლეულის ჩამონათვალს, უსაფრთხო გარემოს პირობებს და დამატებით პირობებს, ასევე ხშირ შემთვევაში დავალების პირობები იყო ბუნდოვანი და არ იძლეობა ზუსტ ინსტრუქციას. გარდა ამისა, შეფასების მტკიცებულებებში მოცემული იყო ჯგუფისთვის მხოლოდ ერთი შეფასების ინსტურმენტი, ხოლო თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის გამოკითხვის შემთვევაში მხოლოდ ტესტური დავალება, პრაქტიკული დავალებისა და პრაქტიკული დავალება დაკვირვების შემთხვევაში დავალების შესრულების მოკლე ინსტრუქცია ან შეფასების ფურცელი (ჩეკლისტი). შესაბამისად ყველა ფორმა იყო განსხვავებული.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, ცვლილება განახორციელოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში და დაამტოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.**

**მნიშვნელოვანია, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს შეფასების ინსტრუმეტის ფორმა, სადაც მოცემული იქნება სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების პირობების შესახებ. დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს ერთიანი მიდგომა შეფასების ფორმების გამოყენებისას. რესურსების დაზოგვის მიზნით დაწესებულებას შეუძლია გადავიდეს ელექტრონულ შეფასებაზე მოდულის შეფასების მიმართულების შესაბამისად.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2.ა(ა)იპ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის №01-09/88 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 23 ივნისის N01-09/121 ბრძანებით) დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლის თანახმადაც ხარისხის მენეჯერი ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ხოლო ხარისხის მართვის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს. დარგის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს.

ა)შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია

ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას;
გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს რისკების სისტემა, რომლის მეშვეობითაც გამოავლენს რისკ-ფაქტორებს. კერძოდ:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;
- სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით);
- პრაქტიკული დავალებების სიმრავლე;
- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;
- საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება;
- მოდულის ფარგლებში გადაბარების არარსებობა;
- სხვა.

ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის შედეგად დგება ვერიფიკაციის ანგარიში. ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებული/მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს.

**დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 2024 წლის ვერიფიკაციის გეგმა, რისკ ფაქტორები და ვერიფიკაციის შედეგები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2025 წლის წლის ვერიფიკაციის გეგმა, რომელის ჩატარებაც განსაზღვრულია ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა, 2024 წლის ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის დასკვნა და შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში ყველა პროგარმის ფარგლებში.**
**აღსანიშნავია, რომ წარმოადგენილი დოკუმენტებით ვერ დადგინდა რა პერიოდში ჩატარდა ვერიფიკაცია, ასევე არ ჩანს რამდენი ჯგუფის ფარგლებში მოხდა შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულელებების შესწავლა, წარმოდგელია მხოლოდ ერთი რისკ ფაქტორი - დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, დაწესებულების მიერ არასწორად არის გაგებული ვერიფიკაციის ტერმინი, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანებაში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის გეგმაში - საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია, ასევე შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია. შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში არ ჩანს შეფასების ინსტურმენტის, შეფასების პროცესის და შეფასების**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მტკიცებულების ვერიფკაციის პროცედურა და სამიზნე ჯგუფი. თუმცა განათლების ვერიფიკატორისა და დარგის ვერიფიკატორის მიერ გაიცა რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების მტკიცებულებების მიმართ.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისიწნებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განახორციელოს დადგენილი მექნიზმის შესაბამისად, განსაზღვროს მეტი რისკ ფაქტორი, ვინაიდან დაწესებულება ახორციელებს სწავლებას 3 ცვლაში, კვირაში 7 დღიანი დატვირთვით. რეალური სურათის მისაღებად უმჯობესია კოლეჯმა შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ვერიფიკაციის ანგარიშში დეტალურად ჩანდეს ვერიფიკაციის პროცედურა და რეკომენდაციები.**

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** კოლეჯი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი"-ს შესაბამისად. კოლეჯში მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები მუდმივად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებში განსაზღვრულია, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს შემდგომი განვითარებისათვის სხვადასხვა მიმართულებით: პროგრამის განვითარება, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც, .განმავითარებელი შეფასება როგორც ცოდნის, ისე სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

აღნიშნული შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეამოწმოს სტუდენტის გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების შესახებ ხდება განზოგადოებულად. კონკრეტული სტუდენტის შეფასების შედეგები განიხილება მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე. ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების შედეგების გასაჯაროება განხორციელდება სტუდენტის სიტყვიერი თანხმობით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- *მოდულის შეფასების ინსტრუმენტის ფორმა,;*
- *მოდულების სწავლის შედეგების უწყისის ფორმა ;*
- *განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები;*
- *ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის შედეგები;*
- *დათვალიერების შედეგები;*
- *ინტერვიურების შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ღონისძიების ორგანიზება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N01-09/49, 25/03/2021; N01- 09/4 19/02/2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 4 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 90 - იმიტირებული |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | 90 პროფესიული სტუდენტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 97კრედიტი |

## VI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

## IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.კოლეჯის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, მოამზადოს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, ტურიზმისა და მომსახურების სფეროს მიმართულების პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური, კომპენტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება ასევე დაწესებულების ხედვას და სტრატეგიულ გავნითარების გეგმას. დაწესებულებამ ჩაატარა მეორადი კვლევა, სადაც აღნიშნულია, რომ შრომის ბაზრის ეროვნული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით,ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევამ გვიჩვენა ამ ეტაპზე მომსახურების სფეროს დაბალ და საშუალო რგოლის სპეციალისტების ძალიან დიდი დეფიციტია; დამსაქმებელმა საჭიროა მიიღოს კონკრეტული, მისთვის აუცილებელი უნარების მქონე კადრები (2023 და 2024 წლის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - შრომის ბაზრის ანალიზი).

საერთაშიროსიო კვლევები ადასტურებს რომ ყოველწლიურად მზარდია მოთხოვნა მომსახურების სფეროს კადრებზე; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემებზე დაყრდნობით, მომსახურების სექტორი ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიების რიგშია, სადაც სარესტორნო მომსახურების სპეციალისტებზე მოთხოვნა სტაბილურად იზრდება.

ევროკავშირის 27 ქვეყანაში ჩატარებული შრომის ბაზრის დისბალანსის ანალიზიმა ასევე აჩვენა, რომ 13 ქვეყანაში სარესტორნო მომსახურების კადრებზე ძალიან დიდი დეფიციტია (Report on labour shortages and surpluses (2022) ; გვ21) პროგრამა პირდაპირ უკავშირდება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ინტეგრაციას როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ეკონომიკაში.

პროგრამის დამატების მიზნით კოლეჯის მიერ ჩატარდა გამოკითხვა თბილისში არსებული კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციების, რომელთა საქმიანობა მოიცავს მომსახურების სფეროს. კომპანიები აღნიშნავენ, რომ პროგრამა ღონისძიების ორგანიზატორი ამზადებს ფართო სპექტრის სპეციალისტს, რომელსაც შეუძილა როგორც ღონისძიების დაგეგმვა, ასევე გაფორმება, ღონიშძიების კალკულაცია; სხვადასხვა ღონისძიების: სპორტული, სადღესასწაულო და სხვა განხორციელება.

გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ პროგრამა ძალიან მოთხოვნადი და აქტუალურია საქართველოს შრომის ბაზრისთვის. გამოკითხული კომპანიების მხარდაჭერა და მათი მხრიდან პროგრამის გამოყენებადობის დადასტურება აძლიერებს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას და იმ ფაქტს, რომ პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოს მომსახურების სექტორის განვითარებას და სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ღონისძიების ორგანიზება“ მაღალია სწავლის მსურველთა მომართვიანობა. კოლეჯი აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს 2021 წლიდან, წლების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილზე რეგისტრირდება 2 ჯერ მეტი პირი. დაწესებულებამ წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სტატისტიკა პროგრამაზე რეგისტრირებული პირების შესახებ. 2022 წელს დაწესებულების მიერ გამოცხადებულ 32 ადგილზე დარეგისტრიდა 98 პირი, ხოლო 2023 წელს 23 ადგილზე 42 აპლიკანტი.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საშუალოდ 70%-ია. კოლეჯის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან არამარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც კვალიფიკაციის შესაბამის წამყვან პოზიციებზე: ბრენდშეფები, შეფმაზრეულები, და ა.შ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ღონისძიების ორგანიზება“ დაშვების წინაპირობა ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს, რის საფუძველზეც შემუშავებულია აღნიშნული პროგრამა. არაინტეგრირებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, ინტეგრირებულ პროგრამაზე საბაზო განათლება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამაზე ღონისძიების ორგანიზება“ დაშვების პროცედურები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებას და ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2021 წლის 03 აგვისტოს N01-09/133 ბრძანებით(ბოლო ცვლილება -2024 წლის 31 მაისის N01-09/87 ბრძანება ) ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე“ აპლიკანტთა შერჩევის წესს, რომელშიც გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურები. შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯს შემუშავებული და 2020 წლის 03 ივნისის N01-09/72 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის „იკაროსი“ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების მიდგომებს, მის სპეციფიკას, ადამიანურ რესურსებს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებით ფაქტორებს, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას და სხვა. მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, კოლეჯმა შეიმუშავა დოკუმენტი - ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე ,,ღონისძიების ორგანიზება“ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების მიერ ,,ღონისძიების ორგანიზება“ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ასევე, საგანმანათლებლო რესურსების ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,ღონისძიების ორგანიზება“ მოიცავს 2 არჩევით მოდულს პირველადი გადაუდებელი დახმარება და ღონისძიების ორგანიზება. აღნიშნული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ წესდების მე-4-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N01-09/49 ბრძანებით. პროგრამა მოდიფიცირებულია N01- 09/43 ბრძანებით (19/02/2025)
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ღონისძიების ორგანიზება“ სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8.,,ღონისძიების ორგანიზება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება“ (სარეგისტრაციო ნომერი 04119). დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს: პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას, ინფორმაციას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული - „ქართული ენა A2“ და აღნიშნული მოდულის განხორციელების სასწავლო გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის მისია;
- სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა )
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“
- კოლეჯის წესდება;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილების (მოდიფიცირების) და გაუქმების წესი“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის - 90 პროფესიული სტუდენტისთვის, რისთვისაც კოლეჯში მოწყობილია 4 A, 2 B და 3 C გარემო შესაბამისი აღჭურვილობით, ჯგუფში 15-15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ადგილებით. A და B გარემო აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). C გარემო (ინტეგრირებული სწავლებისთვის) - წარმოადგენს ლაბორატორიულ კაბინეტს სადაც განთავსებულია სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი მოწყობილობა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა პროგრამისათვის საჭირო მასალანედლეული, ხოლო პროგრამის ფარგლებში დარგობრივი პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად კოლეჯში მოწყობილია 2 C გარემო, სადაც განთავსებულია, ერთი მხრივ, ბარ-რესტორნის აღჭურვილობა, მეორე მხრივ, ღონისძიების გაფორმებისთვის საჭირო ტექნიკური აპარატურა.

პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად თანაგანხორციელებაში არ არის ჩართული არც ერთი ორგანიზაცია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ღონისძიების ორგანიზება“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (სულ - 34 პროფესიული განათლების მასწავლებელი) და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ, მოდულების უმრავლესობაზე მინიმუმ 2 მასწავლებელია გათვალისწინებული. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილების დროს მხედველობაშია მიღებული ის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით, ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად მათი რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა „ღონისძიების ორგანიზება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), ასევე, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა როგორც პროფესიული მოდულების ასევე, ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს. გასაუბრებისა და შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციებს. შედგა გასაუბრება მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რითაც ასევე დადასტურდა მათი მაღალი კომპეტენცია. განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები იყვნენ მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება როგორც პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით ასევე გასაუბრებით. ის პროგრამის დანერგვის დღიდან მუშაობს დაწესებულებაში და ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგამის განვითარებას, სწავლების მაღალი ხარსიხისხ შენარჩუნებას
პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციასა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში და სხვა. უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსის არგუმენტირებულ დასაბუთებას, აცნობს სტუდენტებს კოლეჯის შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, ახდენს სტუდენტების ინფორმირებულობას მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გასაუბრებისას დაადასტურეს რომ ხელმძღვანელს მჭიდრო კავშირი აქვს როგორც ზოგადი, ასწევე დარგობრივი მოდულების განხორციელების პროცესში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული რესურსები ჩაწერილია დისკზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსის" დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს აქვთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებისა და მოთხოვნილებების მიხედვით, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან მოდიფიკაცია, რამაც შესაძლოა, რესურსების ცვლილებაც გამოიწვიოს. მოდიფიკაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები, შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს კვალიფიკაციის მინიჭებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლის შედეგები/კრიტერიუმები იცვლება, გაიცემა ცნობა. სწავლის აღნიშნული მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხდება აპლიკანტთა/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება.
კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც უზუნველყოფს სსსმ და შშმ პირთა მხარდაჭერას სასწავლო პროცესში. დაწესებულებას დიდი გამოცდილება აქვს აღნიშნული მიმართულებით, ინკლუზიური განათლების ჯგუფს შესაბამისი პირების ჩართულობით შემუშავებული ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები როგორც მოდიფიკაციის ასევე აკომოდაციის გზით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია პროგრამის ,,ღონისძიების ორგანიზება" განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და სხვა. პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ასევე ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს .
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- საბიბლიოთეკო წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ხორციელდება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე. შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ,რომელიც გამოავლენს საუკეთესო ადგილობრივ/საერთაშორისო პრაქტიკას, საწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯს შემუშავებული აქვს „იკაროსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, შეფასების და პროგრამის გაუქმების წესი და პროცედურები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები” რომლებიც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელებას საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, გაწერილი პროცედურების შესაბამისად. კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს უკუკავშირით მიღებული მონაცემების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამის შეფასებისთვის ასევე მნიშვნელოვანი ინდიკატორებია პროგრამაზე რეგისტრირებულთა, ჩარიცხულთა მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა რაოდენობის, ასევე დასაქმების მაჩვენებელი, რაც ასახულია პროგრამის შეფასების ფორმაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, შეფასების და პროგრამის გაუქმების წესი და პროცედურები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელები არიან სასწავლო პროცესის მენეჯერები, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულის შესახებ, ასევე, გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები გავლილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან. სასწავლო ცხრილები გამოკრულია პროფესიული სტუდენტებისათვის თვალსაჩინო ადგილზე, საინფორმაციო დაფაზე, ასევე აღნიშნული ცხრილი სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონულად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერას, სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში გამოიყენება პრეზენტაციები, ვიზუალური თვალსაჩინოებები (მაკეტების), თანამედროვე მასალები და მეთოდები. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, გასაუბრებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დგინდება, რომ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულებში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად არ ითვალისწინებს პარტნიორ ოარგანიზაციასთან პარტნიორობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება დაცვის სამსახური. კოლეჯში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებადა ჯანმრთელობა. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ", რომელის მიზანია ჩამოაყალიბოს უსაფრთოხების, ინციდენტების გამოვლენის, მათზე რეაგირების, მიტიგაციის და აღდგენის პროცესის სტანდარტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების ისტრუქცია, რომელსაც პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებს აცნობს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მოდულის განმახორციელებელი პირი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი*
- *„კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების წესი",*
- *მოდულის კალენდარული გეგმა*
- *„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის უსაფრთხოების წესები;
- გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
1.დირექტორის 3.6.2020 წლის N01-09/86 ბრძანებით (ბოლო ცვლილება - 2025 წლის 16 ივნისის N01-09/115 ბრანებით) დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, აღნიშნული წესის მე -6 თავი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასებას. რომლებშიც ასახულია შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, რაც უზრუნველყოფს კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. აღნიშნული წესების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება ხდება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს რომელიც შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა შეფასების მტკიცებულებები. **ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა , რომელიც**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. თაბ...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N01-09/76, 17/04/2025), არ მოიცავს აპელაციის პირობებს, საჭირო მასალებისა და ნედლეულის ჩამონათვალს, უსაფრთხო გარემოს პირობებს და დამატებით პირობებს, ასევე ხშირ შემთხვევაში დავალების პირობები იყო ბუნდოვანი და არ იძლეობა ზუსტ ინსტრუქციას. გარდა ამისა, შეფასების მტკიცებულებებში მოცემული იყო ჯგუფისთვის მხოლოდ ერთი შეფასების ინსტურმენტი, ხოლო თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის გამოკითხვის შემთვევაში მხოლოდ ტესტური დავალება, პრაქტიკული დავალებისა და პრაქტიკული დავალება დაკვირვების შემთხვევაში დავალების შესრულების მოკლე ინსტრუქცია ან შეფასების ფურცელი (ჩეკლისტი). შესაბამისად ყველა ფორმა იყო განსხვავებული.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, ცვლილება განახორციელოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში და დაამტოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.**

**მნიშვნელოვანია, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს შეფასების ინსტრუმეტის ფორმა, სადაც მოცემული იქნება სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების პირობების შესახებ. დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს ერთიანი მიდგომა შეფასების ფორმების გამოყენებისას. რესურსების დაზოგვის მიზნით დაწესებულებას შეუძლია გადავიდეს ელექტრონულ შეფასებაზე მოდულის შეფასების მიმართულების შესაბამისად.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2.ა(ა)იპ კოლეჯის დირექოტორის 2020 წლის 03 ივნისის №01-09/88 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 23 ივნისის N01-09/121 ბრძანებით) დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლის თანახმადაც ხარისხის მენეჯერი ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს და ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ხოლო ხარისხის მართვის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს. დარგის სპეციალისტი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს.

ა)შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია

ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას;
გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს რისკების სისტემა, რომლის მეშვეობითაც გამოავლენს რისკ-ფაქტორებს. კერძოდ:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;
- სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით);
- პრაქტიკული დავალებების სიმრავლე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;
- საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება;
- მოდულის ფარგლებში გადაბარების არარსებობა;
- სხვა.

ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის შედეგად დგება ვერიფიკაციის ანგარიში. ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებული/მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს.

**დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 2024 წლის ვერიფიკაციის გეგმა, რისკ ფაქტორები და ვერიფიკაციის შედეგები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2025 წლის წლის ვერიფიკაციის გეგმა, რომელის ჩატარებაც განსაზრვრულია ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა, 2024 წლის ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის დასკვნა და შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში ყველა პროგარმის ფარგლებში.**
**აღსანიშნავია, რომ წარმოადგენილი დოკუმენტებით ვერ დადგინდა რა პერიოდში ჩატარდა ვერიფიკაცია, ასევე არ ჩანს რამდენი ჯგუფის ფარგლებში მოხდა შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებუელებების შესწავლა, წარმოდგელია მხოლოდ ერთი რისკ ფაქტორი - დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, დაწესებულების მიერ არასწორად არის გაგებული ვერიფიკაციის ტერმინი, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანებაში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის გეგმაში - საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია, ასევე შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია. შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში არ ჩანს შეფასების ინსტურმენტის, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულების ვერიფკაციის პროცედურა და სამიზნე ჯგუფი. თუმცა განათლების ვერიფიკატორისა და დარგის ვერიფიკატორის მიერ გაიცა რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების მტკიცებულებების მიმართ.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისიწნებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განახორციელოს დადგენილი მექნიზმის შესაბამისად, განსაზღვროს მეტი რისკ ფაქტორი, ვინაიდან დაწესებულება ახორციელებს სწავლებას 3 ცვლაში, კვირაში 7 დღიანი დატვირთვით. რეალური სურათის მისაღებად უმჯობესია კოლეჯმა შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ვერიფიკაციის ანგარიშში დეტალურად ჩანდეს ვერიფიკაციის პროცედურა და რეკომენდაციები.**

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** კოლეჯი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად. კოლეჯში მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები მუდმივად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებში განსაზღვრულია, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს შემდგომი განვითარებისათვის სხვადასხვა მიმართულებით: პროგრამის განვითარება, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც, .განმავითარებელი შეფასება როგორც ცოდნის, ისე სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.
აღნიშნული შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეამოწმოს სტუდენტის გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.
სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. სტუდენტთა ინფორმირებულობა შეფასების შედეგების შესახებ ხდება განზოგადოებულად. კონკრეტული სტუდენტის შეფასების შედეგები განიხილება მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე. ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების შედეგების გასაჯაროება განხორციელდება სტუდენტის სიტყვიერი თანხმობით.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- *მოდულის შეფასების ინსტრუმენტის ფორმა,;*
- *მოდულების სწავლის შედეგების უწყისის ფორმა ;*
- *განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები;*
- *ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის შედეგები;*
- *დათვალიერების შედეგები;*
- *ინტერვიურების შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში**

*გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.*

***ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.***

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კულინარიის ხელოვნება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის #4; ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი 4. |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | დუალური |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 13 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 86 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 101 |

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

06.08.2025

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: